საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედმა საპროცესო კოდექსმა, მიღებიდან დღიდან მოყოლებული არაერთი ცვლილება განიცადა, რომელთა მიზანია გამოძიების გამარტივება, მხარეთა შორის შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა და საპროცესო წესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების პროცესი ბუნებრივი და მისაღებია ზემოაღნიშნული მიზნებით, უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს მინისტრიალმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის დაჩქარებისა და გამარტივების მიზნით, წევრ სახელმწიფოებს დაევალოთ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, ვინაიდან კონტინენტური სამართლის სისტემის საპროცესო კანონმდებლობა დროში იყო გაწელილი.¹ ამასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დამატებითი რეკომენდაციით, წევრ სახელმწიფოებს გაეწიათ რეკომენდაცია ეროვნულ კანონმდებლობაში სამართალწარმოების გამარტივებული ფორმების დანერგვაში.²

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, პრაქტიკამ ცხადყო, რომ წლების განმავლობაში, მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ზოგიერთმა ცვლილებამ არათუ დააჩქარა და გაამარტივა სამართალწარმოების პროცესი, არამედ პირდაპირ დააზიანა საქმეზე სრულყოფილი, დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარების ლეგიტიმური ინტერესები.

გამოძიების პროცესი წარმოუდგენელია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების გარეშე. თითოეული საგამოძიებო მოქმედება ემსახურება, მხარეთა მიერ, საქმეზე მტკიცებულებების შეკრების პროცესს. სტატიაში შევხებით პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედება – პირის გამო-

კითხვას. პრაქტიკულად არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, სადაც არ ტარდება მოწმეთა გამოკითხვა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა ხვედრითი წილი, მართლაც რომ შთამბეჭდავია.³

აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში შევხებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, 2015 წლის 18 დეკემბერს, განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, კერძოდ, გამოძიების ფარგლებში პირის გამოკითხვის ახალ საპროცესო წესს, მის უარყოფით მხარეებს, რომლებიც ნათლად იკვეთება პრაქტიკაში. დეტალურად გავაანალიზებთ იმ პრობლემას, რაც თან ახლავს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, მის მიზნებს და მნიშვნელობას სისხლის სამართლის საქმეზე. ნაშრომში იდენტიფიცირებულია ის პრობლემები, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გამოძიების პროცესს და პირდაპირ უწყობს ხელს გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურებას, შეუძლებელს ხდის საქმეზე მტკიცებულებების დროულად მოპოვებას.

სტატიაში წარმოდგენილია პირის გამოკითხვის საპროცესო წესთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ავტორისეული ხედვა. კერძოდ, შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებები და მათი განხორციელების დასაბუთებულობა.

პრობლემები პირის გამოკითხვის მოქმედი წესში

მოცემულ სტატიაში შევხებით პირის გამოკითხვასთან და დაკითხვასთან დაკავშირებულ საპროცესო წესების, ჩვენი აზრით, პრობლემურ საკითხებს. საკუთრივ, გამოკითხვის და გამოძიებაში მოწმის დაკითხვის დეტალური შესწავლა და გაანალიზება არ წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომის მიზანს და ვერც ერთ სტატიაში იქნება განხილული

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 14.03.1981 წ., #R(81)74.

2 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 17.09.1987 წ., #R(87)18.

3 მკავანაძე ზ, „სისხლის სამართლის პროცესი“, თბ. 1999 წ, გვ. 82.

ყველა ასპექტი, რაც უკავშირდება განსახილველ საპროცესო ინსტიტუტს.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის წესის თანახმად, მოწმე შეიძლება დაბარებული ყოფილიყო საგამოძიებო ორგანოში ჩვენების მისაცემად, რა შემთხვევაშიც იგი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო და მიეცა ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.⁴

პირის გამოკითხვა, ქართულ სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში, პირველად მოქმედ საპროცესო კოდექსში იქნა რეგლამენტირებული. ამ ინსტიტუტს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ნოვაცია, რომლის მიხედვით, მოწმეს მიეცა უფლება, გამოძიების ორგანოებთან ნებაყოფლობითი ურთიერთობა ჰქონდეს და მასზე ეძლევა თავისუფალი არჩევანის უფლება – მისცეს ან არ მისცეს ინფორმაცია გამოძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს, ანუ მან იმოქმედოს თავისი სურვილიდან გამომდინარე. კანონმდებლის მიერ ეს სტანდარტი ფუძემდებლურ სტანდარტად იქნა მიჩნეული ყველა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის და აპელირება მოხდა ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაზე John Murray v. the United Kingdom, § 45.⁵ კანონმდებელმა, საპროცესო კანონმდებლობაში ნოვაციის დანერგვასთან ერთად, ისაუბრა, აგრეთვე, იმ ნეგატიურ შედეგებზეც, რაც შესაძლებელია მოჰყოლოდა ამგვარ საკანონმდებლო სიახლეს იმ შემთხვევაში, თუ მოწმე არაკეთილსინდისიერად აარიდებდა თავს გამოძიებასთან თანამშრომლობას.⁶ სამწუხაროდ, აღნიშნულმა ნეგატიურმა შე-

დეგებმა მართლაც იჩინა თავი პრაქტიკაში და დღეის მდგომარებით პრაქტიკაში პრობლემურ საკითხად იქცა მოწმის მიერ დაუსაბუთებელი მოტივებით გამოძიებასთან თანამშრომლობის საკითხი, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ არის დაკავშირებული გამოძიების დროულად და ობიექტურად ჩატარების საპროცესო მოთხოვნებთან, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის ფუნდამენტურ და სახელმძღვანელო დათქმასთან, რომ ყველა ადამიანისთვის გარანტირებულია საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება.⁷ ამ პრობლემატიკაზე დაწვრილებით კვლევის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ, მანამდე კი, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლის მიერ ევროპის სასამართლოს ზემოაღნიშნულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაზე აპელირება, საკანონმდებლო ცვლილებების გამართლების მოტივით, მსუბუქად რომ ვთქვათ, იყო არადამაჯერებელი. მოცემულ საქმეში, ევროპის სასამართლომ იმსჯელა ძირითადად ბრალდებულის დუმილის უფლებაზე და უფლებაზე – არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ,⁸ აღნიშნული ფუნდამენტური მოცემულობა, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნების სისხლის საპროცესო კანონმდებლობისთვის, გათვალისწინებულია საქართველოს როგორც ძველ, ისე მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში.⁹

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე, პირის გამოკითხვა ხელს უწყობს მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას, რადგან აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაზე ხშირად დამოკი-

4 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 1998 წ, მუხ. 305, ნაწ. 1 და 3.
5 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 11.12.2015, ელ. მის: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106183>> [ბოლო წვდომა: 19.07.23].
6 იხ. იქვე.

7 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხ. 6. ნაწ. 1.
8 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე ო'ჰოლორენი და ფრენსისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2007, გვ. 16, ელ. მის: <<https://catalog.supremecourt.ge/blog/foto/286.pdf>> [ბოლო წვდომა: 19.07.2023].
9 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ, მუხ. 72, ნაწ. 3 და მუხ. 94, ნაწ. 4; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ, მუხ. 38, ნაწ. 2 და 4, მუხ. 49, ნაწ. 1, „დ“ ქვეპ.

დებულია დანაშაულის გახსნის საკითხი.¹⁰ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება არის ის სამართლებრივი პროცედურა, რომლის დროსაც, ეტაპობრივად წარმოჩენილ ამოცანების დაძლევისათვის ერთად, მიიღწევა საგამოძიებო მოქმედების უმთავრესი მიზანი – საქმეზე მტკიცებულების მოპოვება.¹¹ სწორედ აღნიშნული გარემოება ანიჭებს პირის გამოკითხვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას გამოძიების დროს. ამასთან, საგამოძიებო მოქმედებისთვის ისეთი ბიუროკრატიული დათქმების დანერგვა, რაც, ხშირ შემთხვევაში, აჭიანურებს მის ჩატარებას და, შესაბამისად, აზიანებს გამოძიების პროცესს, ჩვენი აზრით, ხელს შეუშლის მართლმსაჯულების დროულად განხორციელების პროცესს.

ვერ დავეთანხმებით რიგ ავტორთა მოსაზრებას, რომ პირის გამოკითხვის ინსტიტუტის ქართული მოდელი ახლოს დგას ფრანგული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ „ასისტირებული მოწმის“ სტატუსთან და რომ პირი შესაძლებელია გამოიკითხოს ფიცის გარეშე.¹² ამასთან, ქართული კანონმდებლობაც იცნობს პირის გამოკითხვას ფიცის გარეშე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სახეს.¹³ რაც შეეხება პირის გამოკითხვის საპროცესო წესს, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე თანხმობის განცხადების შემთხვევაში, მხარე მას წერილობით აფრთხილებს ცრუ დასმენისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) მოსალოდნელი სისხლისსამა-

რთლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.¹⁴

პირის გამოკითხვის მოქმედი საპროცესო წესი, არაერთხელ იქნა გადავადებული ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ბოლოს იგი ძალაში შევიდა 2016 წლის 20 თებერვლიდან,¹⁵ ამასთან, რიგ დანაშაულებზე გამოძიების დროს, აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან¹⁶ და 2019 წლის 30 ივნისიდან.¹⁷ პირის გამოკითხვის ახალ წესთან ერთად, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესმაც,¹⁸ რამაც უფრო პრობლემატური გახადა გამოძიებაში მოწმის დაკითხვის ინსტიტუტი. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად ვისაუბრებთ სტატიის მომდევნო თავში.

პრობლემები პირის მოწმედ დაკითხვის წესში

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესს. კანონი იძლევა იმ ფაქტობრივი გარემოებების მოცემულობას, როდესაც, გამოძიების დროს, შესაძლებელია პირი მოწმის სახით იქნეს დაკითხული მაგისტრი მოსამართლის წინაშე.¹⁹ აღნიშნული სტანდარტული შემთხვევები არ წარმოადგენს მოცემული სტატიის განხილვის საგანს, შესაბამისად, მასზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, ვინაიდან მოცემული წესები არ არის პრობლემატური და პირიქით, ინტეგრირებულია გამოძიების ყოველმხრივ, დროულად და ობიექტურად ჩატარებაზე. პრობლემატურად მიგვაჩნია, 2015 წლის 18 დეკემბერს განხორციელებული კონკრეტული ცვლილება, რომლის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე, პირი შეიძლება დაიკითხოს მაგისტრის მოსამართლის წინაშე გამოკითხვაზე უარის

10 ფაფიაშვილი ლ, და სხვები, „საქართველოს სისხლის სამართლის კანონი“. კერძო ნაწილი“, თბ. 2017წ, გვ. 400-401.

11 ერიშვილი ნ, „წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები“, თბ. 2010 წ, გვ. 35.

12 გახვციძე ჯ, გაბისონია ი, მამნიშვილი მ, მონიავა პ, „საგამოძიებო სამართალი. წიგნი პირველი“, თბ. 2018 წ, გვ. 287.

13 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1999 წ, მუხ. 1, ნაწ. 2, „ა“ ქვეპ.

14 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ, მუხ. 113, ნაწ. 7.

15 იხ. იქვე, მუხ. 332, ნაწ. 1.

16 იხ. იქვე, ნაწ. 3.

17 იხ. იქვე, ნაწ. 4.

18 იხ. იქვე, მუხ. 114.

19 იხ. იქვე, მუხ. 114, ნაწ. 1.

თქმის გამო.²⁰ რა შემთხვევაში შეუძლია პირს უარი თქვას გამომძიებელთან გამოკითხვაზე? პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის მიზეზები შეიძლება იყოს: 1. გამოძიებისადმი უნდობლობა; 2. არ ფლობს ინფორმაციას საქმის ირგვლივ; 3. იყენებს გამოკითხვის კანონით მინიჭებულ ნებაყოფლობითობის უფლებას და მიუხედავად იმისა, რომ ენდობა გამომძიებელს, ნებისმიერი პოზიტიური თუ ნეგატიური მიზეზით, არ თვლის საჭიროდ ითანამშრომლოს მასთან.²¹ მოქმედი კანონის აღნიშნული მოცემულობა,²² რბილად რომ ვთქვათ, ზიანს აყენებს გამომძიების პროცესს და მხარეებს უწესებს დაუსაბუთებელ და დროში განვლილ ბიუროკრატიულ ბარიერებს. დეტალურად განვიხილოთ, რა შემთხვევაში შეიძლება გაუჩნდეს გამოსაკითხ პირს გამომძიების მიმართ უნდობლობა: როდესაც პირი ჩათვლის, რომ გამომძიება არ არის ობიექტური; მის მიმართ იყენებს უკანონო მეთოდებს ჩვენების მისაღებად; ამასთან, გამოსაკითხმა პირმა უნდობლობა შესაძლებელია გამოხატოს სხვა სუბიექტური მიზეზებით (მაგ: პოლიტიკური, სოციალური და სხვა თუნდაც დაუსაბუთებელი მიზეზით). გამოკითხვის პროცესი ადამიანური ურთიერთობის აზრთა გაცვლის პროცესს ჰგავს, საუბარი უფრო გულწრფელი და სასურველია იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ პატივისცემა. საგამომძიებო ორგანოებისადმი ნდობის არსებობის შემთხვევაში, გამოკითხვა ხდება ეფექტიანი იარაღი მტკიცებულებების შეკრების კუთხით.²³ მოქმედი კანონმდებლობა მიზეზების დასაბუთებას არ ითხოვს და ამიტომ პირის მხრიდან გამოხატული უნდობლობა საკმარისია, რომ მისი გამოკითხვა არ მოხდეს – მის მიერ ჩვენების მიცემა ხომ კანონით ნებაყოფლობითი პროცესია. აღნიშნული გარემოება კი გამოსაკითხი პირის მიერ შესაძლებელია გა-

მოყენებული იქნეს ბოროტად და სუბიექტურად, რაც შესაძლებელია მიმართული იყოს გამომძიების კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამასთან, გამომძიებლის ან საგამომძიებო ორგანოს უკანონო ქმედებების შემთხვევაში, კანონი ისედაც აწესებს სხვადასხვა დაცვის მექანიზმებს. მაგალითად, როგორც არის გამომძიებლის მიკერძოებულობის შემთხვევაში მისი აცილება,²⁴ გამომძიებლის მიერ პროცესის მონაწილის მიმართ ჩადენილი ნებისმიერი მუქარა და ძალადობა, რომელიც ჩადენილია საქმის გამომძიებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას²⁵ და აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების გამომძიების მიზნით, გარდა შიდა საუნყებო კონტროლის მექანიზმებისა, შექმნილია დამოკიდებული საგამომძიებო უწყება – სპეციალური საგამომძიებო სამსახური.²⁶ გარდა აღნიშნულისა, მხარეთა მიერ ნებისმიერი უკანონო ქმედებაზე რეაგირება პირდაპირ შედის პროკურატურის ვალდებულებაში. აღნიშნულის ფონზე, გამომძიებისათვის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო უნდობლობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევების არსებობა, რაც არც თუ იშვიათია პრაქტიკაში, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის საფუძველი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, გამოკითხვაზე უარის თქმის საფუძვლად, პირის მიერ ინფორმაციის არფლობის შემთხვევა. როგორც წესი, მხარე გამოსაკითხად იბარებს ისეთ პირებს, რომლებსაც მხარეთა ხელთ არსებული მტკიცებულებებით, გააჩნიათ ინფორმაცია კონკრეტულ საქმეზე. თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს მხარის შეცდომაც და გამოსაკითხად ისეთი პირის დაბარება, რომელიც ობიექტურად არ ფლობს საქმეზე რაიმე სახის ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში, დროში განვლილი პროცედურები დამაზიანებელია გამომძიებისთვის და პირს მარტივად შეუძლია გამოკითხვის დროს განაცხადოს, რომ არ ფლობს

20 ფაფიაშვილი ლ, და სხვები, „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი“, თბ. 2017 წ, გვ. 407.
 21 იხ. იქვე, გვ. 412.
 22 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 114, ნაწ. 2 და 21.
 23 თრენკელი ე, „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“, თბ. 2009, გვ. 16-18.

24 იხ. იქვე, მუხ. 59, ნაწ. 1, „ე“ ქვეპ.
 25 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 335.
 26 საქართველოს კანონი „სპეციალური საგამომძიებო სამსახურის შესახებ“, 2018, მუხ. 19, ნაწ. 1, „ა“ ქვეპ.

რაიმე სახის ინფორმაციას. რაც შეეხება გამოკითხვაზე უარის თქმის მესამე საფუძველს, კერძოდ, როდესაც პირი ფლობს საჭირო ინფორმაციას საქმეზე, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დასადგენად, მაგრამ არ თვლის საჭიროდ, თუნდაც ნებისმიერი მიზეზით ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ამისთვის იყენებს კანონით მინიჭებულ ნებაყოფლობით გამოკითხვის უფლებას, ჩვენი აზრით, სცდება გონივრულობის ფარგლებს. კანონის აღნიშნული ჩანაწერი შეუქცევად და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მართლმსაჯულების პროცესს და კოლიზიაში მოდის კონსტიტუციურ ჩანაწერთან, რომელიც ყველას ავალდებულებს საგამოძიებო კომისიას მიაწოდოს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.²⁷ აღნიშნულის ფონზე, გამოძიების ფარგლებში, პირისთვის დაუსაბუთებელი საფუძველით, გამოკითხვაზე უარის თქმის გაცხადების უფლებამოსილების მინიჭება, ვფიქრობთ, კანონის აღნიშნულ ჩანაწერს შესძენს არაკონსტიტუციურ ელფერსაც.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობისა, გამოძიების დროს, პირის მაგისტრი მოსამართლის წინაშე დაკითხვა, ქმნის სხვა მიმართულების პრობლემებსაც, კერძოდ, მოწმის დეპონირებული ჩვენება სასამართლოს მიერ გამოიყენება განაჩენის გამოტანის დროს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო მხედველობაში იღებს, მხოლოდ იმ მოწმის ჩვენებას, რომელიც დაიკითხა სასამართლო პროცესზე მხარეთა მონაწილეობით, რა დროსაც უზრუნველყოფილი იქნა ევროპული კონვენციით გარანტირებული მოწმის კონფრონტაციის უფლება. ხოლო, ისეთ შემთხვევები, როდესაც მაგისტრალი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა წარმოებს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ, შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც სამართლიანი პროცესის წარმოებისათვის საფრთხის შემქმნელი.²⁸ მოქმედი კანონმდებლობა კი უშვებს მაგისტრი მოსამართლის

წინაშე პირის მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ დაკითხვის შესაძლებლობას.²⁹

ნაშრომის მომდევნო თავში, შევეცდებით პირის გამოკითხვასთან დაკავშირებული პრობლემატიკის დეტალურად შესწავლას, ჰიპოთეტური მაგალითების ფონზე პრაქტიკული ბარიერების წარმოჩენას, საკითხთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოჩენას და კრიმინალისტიკური მიდგომებთან მოქმედი ნორმების შეუსაბამობის დადგენას.

პრაქტიკაში არსებული პრობლემები

საქმეზე სამართალწარმოების დაჩქარებულ დროში ჩატარება მხარეთა ინტერესებში შედის, ეს საკითხი განსაკუთრებულ რელევანტურობას იძენს ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა გამოძიების დროს, რადგან გამოძიების დროული ჩატარება გულისხმობს, როგორც ადამიანურ, აგრეთვე მატერიალური, გაუმართლებელი ხარჯების თავიდან აცილებას.³⁰ ასეთია სახელმწიფოს და საზოგადოების დაკვეთა და ქვეყნის ვალდებულებები საერთაშორისო დემოკრატიულ პრინციპებთან მიმართებაში. მოქმედი კანონმდებლობის განსახილველი და პრობლემატური საკითხები, სამწუხაროდ, იძლევა საწინააღმდეგო მოცემულობას და ქმნის დაბრკოლებებს თუნდაც გამოძიების დროში გაჭიანურების კუთხით. ჩვენი მოსაზრების ნათლად წარმოდგენისთვის მოვიშველიებთ შემდეგ ჰიპოთეტურ მაგალითს: A და B არიან C-ს განზრახ მკვლელობის თვითმხილველი მოწმეები, მათ შეუძლიათ გამოძიებას მინოდონ ზუსტი ინფორმაცია და დაეხმარონ მკვლელის X-ის იდენტიფიკაციაში. თვითმხილველი მოწმეების არსებობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა საქმის გამომძიებლისთვის, რომელმაც ისინი დაიბარა საგამოძიებო უწყებაში გამოსაკითხად.³¹ A-მ

27 საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხ. 42, ნაწ. 3.

28 ლალიაშვილი თ, „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი“, თბ. 2015, გვ. 301-304.

29 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 114, ნაწ. 9.

30 ტრექსელი შ, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ. 2009წ, გვ. 242.

31 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

და B-მ უარი განაცხადეს ნებაყოფლობით გამოძიებისათვის ჩვენების მიცემაზე.³² ასეთ მოცემულობაში, გამოძიებელი ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს პროკურორი, რომელიც განიხილავს მაგისტრათი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს³³ და თუ პროკურორი დადებითად გადაწყვეტს გამოძიების პრობლემას, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობით პირადად მიმართოს სასამართლოს, ან გამოძიებელს დაავალოს აღნიშნული შუამდგომლობის მომზადება და ნება დართოს, თავად გამოძიებელმა მიმართოს სასამართლოს.³⁴ შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენის შემდეგ,³⁵ სასამართლო ვალდებულია მასზე იმსჯელოს და მოწმის დაკითხვა დაიწყოს 24 საათის განმავლობაში.³⁶ ამასთან, დაუშვებელია მოწმის ღამით დაკითხვა, ხოლო დაწყებული დაკითხვა ღამის დადგომისთანავე³⁷ უნდა შეწყდეს და გაგრძელდეს მეორე დღეს. გარდა აღნიშნულისა, კანონი ითვალისწინებს საპატიო მიზეზით³⁸ მოწმის გამოუცხადებლობასაც,³⁹ რაც, თავის მხრივ, დამატებით დროში აჭიანურებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. თავის მხრივ, მოსამართლე უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მაგისტრათი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობა, რაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება და უგზავნის შუამდგომლობის ინიციატორ მხარეს.⁴⁰ აღნიშნული შუამდგომლობის გასაჩივრება მხარეს შეუძლია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მისი ჩაბარებიდან 24 საათის ვადაში.⁴¹ გასაჩივრების შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე, შუამდგომლობას განიხილავს მისი შეტანიდან

არა უგვიანეს 24 საათისა.⁴² საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, აკმაყოფილებს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე.

ჩვენ მიერ მოყვანილი ჰიპოთეტური მაგალითისთვის, უკეთეს შემთხვევაში, კერძოდ, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, განჩინება დაუყოვნებლივ ეგზავნება საჩივრის ავტორს და გასაჩივრებული განჩინების გამომტან მაგისტრატ მოსამართლეს.⁴³ ამ მოცემულობაში, მოწმის დაკითხვა უნდა დაიწყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ მაგისტრათი მოსამართლისთვის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინების გადაცემიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამასთან, ამ შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია მოწმის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაც.⁴⁴ თუმცა, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მოწმის სასამართლოში გამოცხადება, მაინც ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, ხოლო, დანიშნულ დროს, გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იძულებით მოყვანის ღონისძიებები,⁴⁵ რაც, თავის მხრივ, დამატებითი დროის რესურსს გულისხმობს. მას შემდეგ, რაც მოხერხდება მაგისტრი მოსამართლის წინაშე A-ს და B-ს დაკითხვა, მაგისტრათი მოსამართლე უზრუნველყოფს მოწმეთა მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების დაკითხვის ინიციატორი მხარისთვის როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით გადაცემას.⁴⁶

პრაქტიკაში, აღნიშნული პროცედურა ხშირად რამდენიმე დღე გრძელდება შემდეგ მიზეზთა გამო: 1. მოწმის ჩვენება სასამართლოში ფიქსირდება ელექტრონულად, კერძოდ, ხდება პროცესის მიმდინარეობის აუდიო ჩანერა, რის შემდეგაც, სასამართლოს სხდომის მდივანი აუდიო ჩანაწერის საფუძველზე უზრუნველყოფს დაკითხვის ოქმის ბეჭდური ვერსიის შედგენას. იმ შემთხვევაში, თუ მოწ-

კოდექსი, 2009, მუხ. 113, ნაწ. 1.
 32 იხ. იქვე.
 33 იხ. იქვე, მუხ. 114, ნაწ. 4.
 34 იხ. იქვე.
 35 იხ. იქვე, ნაწ. 5.
 36 იხ. იქვე, ნაწ. 6.
 37 იხ. იქვე, მუხ. 3, ნაწ. 17.
 38 იხ. იქვე, ნაწ. 18.
 39 იხ. იქვე, მუხ. 114, ნაწ. 6.
 40 იხ. იქვე, ნაწ. 7.
 41 იხ. იქვე.

42 იხ. იქვე.
 43 იხ. იქვე.
 44 იხ. იქვე.
 45 იხ. იქვე, მუხ. 149, ნაწ. 2 – 3.
 46 იხ. იქვე, მუხ. 114, ნაწ. 13.

მის ჩვენება არის ვრცელი, ან დაკითხულია რამდენიმე მოწმე, ეს პროცესი შესაბამისად მოითხოვს მეტ დროით რესურსსაც; 2. სასამართლოს მიერ დაკითხვის ოქმის შედგენის შემდეგ, მოწმე(ებ)ს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ მათ მიერ მიცემულ ჩვენებას, რაც გულისხმობს მათ სასამართლოში დამატებით მისვლას (გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ვადების გაჭიანურება და არ არსებობს რაიმე სახის იძულების ბერკეტი), მათ მიერ ოქმის პირადად წაკითხვას და მასზე შენიშვნების და განცხადებების გაკეთებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 3. მოწმის მიერ ოქმის გაცნობის შემდეგ, სასამართლო აღნიშნული ოქმის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს უგზავნის გამოძიების ორგანოს, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს 5-დღიან საპროცესო ვადას.⁴⁷ როგორც ვხედავთ, ასეთ ჰიპოთეტურ შემთხვევებში, რაც პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ხდება, გამოძიების მიერ, საჭირო ინფორმაციის მიღების დრო, შესაძლებელია გაიწელოს რამდენიმე დღე და კვირაც კი. ასეთ დროს კი შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს არა მარტო გამოძიების, არამედ სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს, ვინაიდან დანაშაულის ჩამდენი პირის – X იდენტიფიცირების შემდეგ, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ მან მოასწრო მიმალვა ან/და ქვეყნის დატოვება. საბოლოო ჯამში, ზიანი მიადგება მართლმსაჯულების პროცესს და გაჭირდება საქმეზე სამართლიანობის აღდგენა, ხოლო, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ იძულების ღონისძიებების გამოყენება და სასჯელის აღსრულება.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ მიერ განხილული მოქმედი კანონის პრობლემური მოცემულობა შეუსაბამობაში მოდის პირის გამოკითხვისთვის დაწესებულ კრიმინალისტიკურ მიდგომებთან. კრიმინალისტიკური ტაქტიკა ეფუძნება მეცნიერებების ისეთ მიღწევებს, როგორებიცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია და სხვა და გამოძიების პროცესს ეხმარება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, დაკითხვის ეფექტუ-

რად ჩატარებაში, რაც გულისხმობს საქმეზე სწორი და ობიექტური მტკიცებულებების დროულ მოპოვებას.⁴⁸ გამომძიებელს, კრიმინალისტიკური თვალსაზრისით გამოკითხვის დროს, ევალება ისეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას და საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დროულად დადგენის პროცესს.⁴⁹ კრიმინალისტიკაში დაკითხვის ზოგად ტაქტიკურ ერთ-ერთ ხერხად მიჩნეულია გამოკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა, რაც გულისხმობს გამოკითხვის განმარტოებით წარმოებას, გარეშე პირების დასწრების გარეშე და სხვა.⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ კანონში არ არის იმპერატიულად განსაზღვრული გამოკითხვის ადგილი, სიტუაციიდან გამომდინარე და გამოძიების აგრეთვე, გამოსაკითხი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერ ადგილზე (საგამოძიებო ორგანო, საცხოვრებელი სახლი, სამსახური და ა.შ.), სადაც ტექნიკურად შესაძლებელია გამოკითხვის წერილობითი ოქმის შედგენა.⁵¹ დაკითხვის ადგილის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რადგან გარე პირობები განსაკუთრებულ როლს თამაშობს გამოსაკითხი პირის ემოციური ფონის განსაზღვრაზე, კომუნიკაციის სწორად დამყარებაზე და ფსიქოლოგიური კონტაქტის დაბალანსებაზე. ამასთან, გამომძიებელსა და დასაკითხ პირს შორის გულწრფელი დიალოგის საწინდარია დაკითხვის პროცესში სხვა პირთა ჩაურევლობაც.⁵² მიზანშეწონილია, მოწმეები არ შეხვდნენ ერთმანეთს დაკითხვის დასრულებამდე, რათა არ მოხდეს მათ მიერ პოზიციების შეჯერება ან ერთმანეთზე ზეგავლენის

48 გოგშელიძე, ფალიაშვილია, „კრიმინალისტიკა“, თბ. 2009 წ, გვ. 13.

49 ფალიაშვილი ა, და სხვები, „კრიმინალისტიკა“, ტომი #2, თბ. 1995 წ, გვ. 84.

50 იხ. იქვე, გვ. 98.

51 ფაფიაშვილი ლ, და სხვები, „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი“, თბ. 2017 წ, გვ. 402.

52 ერიაშვილი ნ, „წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები“, თბ. 2010 წ, გვ. 40.

47 იხ. იქვე, მუხ. 195.

მოხდენა.⁵³ კრიმინალისტიკური ტაქტიკის აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულება ჩვენ მიერ განხილული ჰიპოთეტური მაგალითის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც თავისთავად ამცირებს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ალბათობას.

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია გამოძიებაში მონმედ დაკითხვის შუამდგომლობების და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რაზეც სამუხაროდ, პასუხი ვერ მივიღეთ.⁵⁴ საკითხზე მომუშავე პრაქტიკოს იურისტებთან ზეპირი ინტერვიუები ცხადყოფს, რომ აღნიშნული სახის შუამდგომლობები პრაქტიკაში არ არის იშვიათი, რასაც გარკვეულწილად ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებულ საჯარო სტატისტიკა.⁵⁵

დეს გამოძიების გაჭიანურების მიზეზი, რაც, საბოლოო ჯამში, დააზიანებს სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს. ერთი მხრივ, გამოძიების დროულად ჩატარების მიმართ მზარდი მოთხოვნა, ხოლო, მეორე მხრივ, დამაზიანებელი ბიუროკრატიული წესების შემოღება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მიგვაჩნია გაუმართლებლად. ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები მოითხოვს დროულ საკანონმდებლო ჩარევას. მიგვაჩნია, რომ პირს, რომელიც ფლობს საქმეზე მნიშვნელოვან ვალდებულებას, საკუთარი სამოქალაქო ვალდებულებიდან გამომდინარე, არ უნდა ჰქონდეს ისეთი არჩევანის გაკეთების უფლება, რომელიც დააზიანებს საქმეზე სრულყოფილი, დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარებას და შეაფერხებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხილული მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის პრობლემური საკითხი სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს გამოძიების და, ზოგადად, მართლმსაჯულების პროცესს. დაუსაბუთებელი და შეუსაბამო საკანონმდებლო რეგულაციები, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია გახ-

53 ფალიაშვილი ა, და სხვები, „კრიმინალისტიკა“, ტომი #2, თბ. 1995 წ, გვ. 104.
54 თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2023 წლის 13 ივლისის, #1-0499/27567 წერილის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება არ ხორციელდება, რის გამოც უარი გვეთქვა მის მოწოდებაზე.
55 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები, ელ. მის: <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> სტატისტიკა მოიცავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე სასამართლოში შესული შუამდგომლობების ანგარიშს, სადაც ცალკე პუნქტად განხილულია „სხვა სახის შუამდგომლობები“, რომლის რაოდენობაც 1 წლის განმავლობაში არის 1640. ვინაიდან სასამართლო, ცალკე აღებული მოწმის დაკითხვის შუამდგომლობების სტატისტიკას არ აწარმოებს, მათი ოდენობა შედის სხვა სახის შუამდგომლობებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გახოკიძე ჯ, გაბისონია ი, მამნიაშვილი მ, მონიავა პ, „საგამოძიებო სამართალი. წიგნი პირველი“, თბ. 2018 წ.
2. გოგშელიძე რ, ფალიაშვილი ა, „კრიმინალისტიკა“, თბ. 2009 წ.
3. ერიაშვილი ნ, „წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები“, თბ. 2010 წ.
4. თრენკელი ე, „მონმის ჩვენების ფსიქოლოგია“, თბ. 2009 წ.
5. ლალიაშვილი თამარ, „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი“, თბ. 2015 წ.
6. მჭავანაძე ზ, „სისხლის სამართლის პროცესი“, თბ. 1999 წ.
7. ფალიაშვილი ა, და სხვები, „კრიმინალისტიკა“, ტომი #2, თბ. 1995 წ.
8. ფაფიაშვილი ლ, და სხვები, „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი“, თბ. 2017 წ.
9. ტრექსელი შ, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ. 2009 წ.

საკანონმდებლო აქტები:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 14.03.1981 წ, #R(81)74.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 17.09.1987 წ, #R(87)18.
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995 წ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009 წ.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999 წ.
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 1998 წ.
8. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999 წ.
9. საქართველოს კანონი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, 2018 წ.

ელექტრონული რესურსები:

1. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 11.12.2015, ელ. მის: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106183>> [ბოლო წვდომა: 19.07.23],
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე ო'პოლორენი და ფრენსისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2007, ელ. მის: <<https://catalog.supremecourt.ge/blog/foto/286.pdf>> [ბოლო წვდომა: 19.07.2023].

THE EFFECT OF THE PRINCIPLE OF INTEGRITY IN THE INSURANCE CONTRACT

Nino Soziashvili

*Doctoral Candidate of Law, Caucasus International University,
Chief specialist of the Legal Department of
Representation in Courts of the Ministry of Defense of
Georgia*

ABSTRACT

The purpose of the research topic is to conduct an in-depth study of the issues related to integrity and its protection in insurance relations and to identify legal and practical problems that arise in non-compliance with this principle. Consequently, the goal of the topic is to analyze the mentioned problematic issues, highlight them, and subsequently propose potential solutions and recommendations for the benefit of readers.¹

Integrity is the principle of civil turnover, therefore its solidity and stability depend on the integrity of the participants in civil turnover. "Integrity is not only a right but also an assumption of fulfilling a duty, because integrity implies the action of the participants of the civil turnover with consideration and responsibility, treating each other with respect for the rights";²

Consequently, since the insurance contract is a type of civil contract, it is natural that the obligation to protect integrity is also essential in relation to it;³ Nonetheless, I believe that in the case of insurance, protection of integrity acquires an even wider meaning and

1 Soziashvili N. The principle of integrity in insurance relations, planning and design of a research paper, Tbilisi, 2021. p. 2.

2 Supreme Court of Georgia, Chamber for Civil Cases, case #AS-1338-1376-2014, June 29, 2015.

3 Nino Khunashvili dissertation paper, Tbilisi 2014, p. 9.

implication. This is because the fundamental principle and core of insurance contracts is based on the supreme trust between the involved parties. Consequently, if the contracting parties fail to uphold the principle of integrity, it could cast doubt on the existence of the insurance.

KEYWORDS: Insurance, Principle of integrity, Insurance contract

INTRODUCTION

The relevance of the research topic is also determined by the continuous growth and increasing importance of the insurance sector. This is primarily attributed to the rapid pace of global development, where insurance has become an indispensable part of people's daily lives and existence. For instance, in the United States of America, there's a prevailing perspective that one cannot exist without insurance. Therefore, the insurance industry continues to evolve daily, and Georgia should be no exception to this trend.

As previously mentioned, integrity is a principle of civil law, and it naturally extends to insurance law. Therefore, I believe it is important to elucidate the principle of integrity and its essence in general: "As per the third part of Article 8 of the Civil Code, participants in a legal relationship shall exercise their rights and duties in integrity".⁴ The above-mentioned norm complements the part of Article 361 of the same Code, which stipulates that the obligation shall be performed duly, in integrity, and at the time and place determined⁵ and the aforementioned includes the entire private law.

The principle of integrity in the legislation and doctrine of modern developed countries is largely related to moral standards. Integrity encompasses sincerity, justice, and an honest attitude to fulfilling "obligations".⁶ In essence, it can

be described as a commitment to decency, with any breach resulting in accountability.⁷

In continental European law, the principle of integrity urges parties to fulfill their mutual obligations in integrity, based on mutual trust and faith. This principle is analogous to assessing human behavior in terms of moral qualities and interpersonal relationships based on the concepts of good and evil.⁸

THE EFFECT OF THE PRINCIPLE OF INTEGRITY IN THE INSURANCE CONTRACT

The principle of integrity in Georgian contract law is not thoroughly explored, with very few examples of its interpretation in contractual norms where the obligation to adhere to this principle is established. Its essence is primarily dispersed across various sections of the Civil Code, including the chapter on insurance contracts. Thus, it is only through a joint and complex study that we can determine the principle of integrity in insurance relationships. This underscores the relevance of the research topic, highlighting the importance of incorporating foreign doctrine and judicial practice to accurately define its essence and significance.

The principle of integrity in insurance law undoubtedly implies that both parties to the con-

4 Supreme Court of Georgia, Chamber for Civil Cases, Case No. AS-1338-1376-2014, June 29, 2015.

5 Civil Code of Georgia, Tbilisi, 1997 (as of 01.11.2022).

6 Supreme Court of Georgia, Chamber for Civil Cases, Case No. AS-1338-1376-2014, June 29, 2015.

7 Decision of the Supreme Court of Georgia of June 29, 2015 No. AS-1338-1338-2014.

8 Khunashvili N. Dissertation paper "Principle of integrity in contract law", University Publishing House, Tbilisi 2014; p. 12.

tract, whether it's the insured or the insurer (insurance company), must fulfill their obligations under the insurance contract in a manner that is characterized by integrity, fairness, and honesty, as one would reasonably expect from each other.

As it is commonly known, the primary distinguishing feature of an insurance contract is the principle of *uberrimae fidei*,⁹ signifying the utmost integrity between the parties involved. This principle expresses the essence of the insurance contract itself, where the presence of an element of risk is pivotal. It stems from the fundamental uncertainty of whether an insurance risk will be "realized" i.e. an insurance event. Consequently, the parties are obliged to honestly disclose all pertinent and essential facts within their knowledge, which may influence the terms of the contract or its overall conclusion.¹⁰

When reviewing the concept of integrity within an insurance contract, it's crucial to discuss the accurate interpretation of when the insurance contract becomes effective. This is significant because it marks the point at which the insurance company's obligation to provide compensation to the insured originates.¹¹ And since the issue concerns the issuance of insurance compensation, it is natural that the observance of the principle of integrity acquires special importance, especially since the above-mentioned issue is regulated quite imperfectly by the Georgian legislation.

According to Article 806 of the Civil Code of Georgia, the insurance shall commence at 24:00 on the day the contract is entered into and shall end at 24:00 on the last day of the contract period.¹² And according to Article 816 of the same code, until the first or one-time insurance premium is paid, the insurer shall be free from liability. As observed, the aforementioned two articles exhibit some inconsistency, potentially leading to practical challenges, for example, when a person

signs an insurance contract with an insurance company, and the contract does not specify the exact time of payment of the initial insurance premium, the insurer planned to pay it after a few days, however, an insurance event occurred on the second day after the contract was signed, Although the insured had an expectation that the insurance contract was concluded and he/she would receive the insurance compensation, however, the insurance company legally refused to disburse the insurance compensation.

In the given example, it initially appears that there is no evident unconscientious attitude on the part of the contracting parties. Nonetheless, considering that insurance contracts rely on the utmost mutual trust and the principle of integrity between the parties, the insurance company should have, in the spirit of integrity, warned the insured of the mentioned issue during the contract signing process.

This is important because the insured probably wasn't informed about it and likely had different expectations as a result.

In summary, we can conclude that for the insurance contract to be established and become effective, there's a requirement for both Articles 806 and 816 of the Civil Code to coexist simultaneously. It would be beneficial if these two regulations were consolidated into a single article, while also specifying the timeframe within which the insurer must make the initial insurance payment, commonly known as the premium (ideally, this should be determined on the same day as the contract signing). This step aims to simplify the contractual arrangements between the parties and minimize the potential for legal disputes in the future.

In this regard, the situation is different in German law, which distinguishes three stages of the beginning of insurance: the "formal" commencement of the insurance, which coincides with the conclusion of the contract by the parties, when all essential conditions are agreed upon,¹³ the "technical" initiation of insurance, wherein the contract is considered finalized based on the

9 Soziashvili N. Social and legal aspects of life insurance, scientific journal, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, 2022. p.77.

10 *Ibid*, p.106.

11 Soziashvili N. Thematic seminar, Comparative-legal analysis, social and legal aspects in insurance law, Tbilisi, 2020.

12 Civil Code of Georgia, 1997 (as of 01.06.2021).

13 <<http://heconomic.wordpress.com/2010/07/12/ten-giz-verulava-13/>> [Last seen 08.15.2022].

date specified in the record or policy; and finally, the “material start of insurance”, where the contract is considered to commence from the moment the insured pays the insurance premium.¹⁴

INSURANCE VALUE

When discussing the principle of integrity in insurance relationships, it is appropriate to consider the issue of insurance value. This is because the principle of integrity holds particular significance in insurance law when evaluating the insurance value.

The insurance value represents the monetary amount at which an individual’s life or health is insured. It is determined through an agreement between the parties, considering the insured risk.¹⁵ Meanwhile, an insurance assessment (or value) is the evaluation of the insured object expressed in monetary terms.¹⁶ It’s interesting to note that “while property insurance restricts the insured amount to the value of the insured object, in contrast to the aforementioned, life insurance places no such limitations. In the case of life insurance, the coverage is unlimited and is solely determined by the agreement of the parties involved in the contract, which is logical given the priceless nature of human life”.¹⁷ However, on the other hand, this flexibility that we enjoy in setting the insurance value for personal insurance carries a certain element of risk, for instance, in the case of life insurance, when insurance is carried out within the limits of a substantial sum insured, the risk of artificially (unfairly) causing an insurance event naturally increases, which primarily endangers the insured and their life. In such a case, obviously, we have the composition of the crime, which is punishable by law, but to pro-

tect the insured’s life and health from such cases as much as possible, I believe it is necessary for the legislator to define the scope of the insurance value even more strictly, and in each specific case, before signing the insurance contract, a thorough analysis, study, investigation, and personalized approach to each insured object should be conducted prior to signing the insurance contract, we can also use an illustration from the United States, where if an individual consumes even a few cigarettes daily, or half a pack, they are categorized as smokers and may not be able to sign a life insurance contract with the company at all,¹⁸ or receive it but within the limits of another insurance amount (far more expensive or more in a smaller amount than in the case of a non-smoker).¹⁹

In addition to this unique aspect, “insurance companies in the United States typically collaborate with specialized medical institutions before concluding a life insurance contract. These institutions serve as information centers regarding individuals who have applied for life insurance from other participating companies”.²⁰

A noteworthy aspect is that the insurance company has the authority to seek information about the prospective policyholder from their physician before finalizing the insurance contract.²¹ This practice provides an added layer of protection for both the insurer and the insured. I believe that this meticulous and thorough approach sets a high standard for insurance practices in this country, and it would be beneficial to consider incorporating a similar approach into our legislation.

INSURANCE RISK

Insurance risk is one of the main foundations of the insurance relationship. It refers to the situation outlined in the contract, the occurrence of which could result in the insurer’s loss or re-

14 <<http://elawjournal.wordpress.com/2012/02/05/და-ზღვევის-ინსტიტუტის-წა/>> [Last seen 15.08.2022].

15 Soziashvili N. Social and legal aspects of life insurance, scientific journal, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, 2022. p. 78.

16 Dzagnidze D. The meaning of the insurance premium in the insurance contract, Tbilisi, “Individual and Constitution” journal, N3, 2003, p.71.

17 Soziashvili N. Social and legal aspects of life insurance, scientific journal, LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, 2022. p. 78.

18 *Ibid.* p. 79.

19 *Ibid.* P. 79.

20 Soziashvili N. Social and legal aspects of life insurance, scientific journal, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, 2022. p. 79.

21 <<http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/Health-Insurance.shtm>> [Last seen 23.05.2023].

duction of their property interest.²² These events are primarily characterized by the fact that the parties to the contract can assume only the possibility, probability, and not the inevitability of its occurrence. In relation to the assessment of insurance risks, insurance companies, as a rule, have developed for a specific type of insurance, written questionnaires about the circumstances of the risk. It is the insurer's responsibility to provide an accurate answer to this questionnaire. In relation to this, Article 810 of the Civil Code stipulates the following; "If the insured was required to respond to written queries about the circumstances of a danger, the insurer may terminate the contract for the failure to communicate the circumstances, which, though not inquired about, were intentionally withheld by the policyholder".²³ This means that the insured is obliged, in integrity, to inform the insurance company about a danger that no one inquired about but of which the insured had specific knowledge, and deliberately and unconscientiously concealed such a fact.

The article mentioned above undeniably safeguards the principle of integrity in insurance relationships. Violating this principle can undermine the very foundation of the insurance system, as the essence of insurance lies in the parties having only the probability or assumption of an insured event occurring. This assumption is the main distinguishing feature of an insurance contract from other types of contracts, and naturally, if the parties fail to uphold the principle of integrity in assessing insurance risk, we will not have an insurance contract.

CONCLUSION

As a result of the research, the special importance and influence of the principle of integrity in the insurance contract was highlighted. While this principle may not be explicitly defined by le-

gal regulations, this principle holds such significance in insurance relationships that it can be regarded as the primary and fundamental foundation for the formation of insurance contracts.

While working on the paper, a comparative-legal analysis was conducted, primarily focusing on foreign countries, particularly in relation to the United States of America. As a result, it was determined that it is appropriate to incorporate a requirement to protect the principle of integrity in the legal norms governing insurance relations, and it is also important to instruct the parties to an insurance contract to act with integrity towards each other.

It is crucial to emphasize the importance of safeguarding integrity when calculating insurance risk and value. In this context, it would be beneficial for the legislator to consider practices in the United States of America and adapt them to the specific needs of the Georgian population in our legislation, although not necessarily identical to those in the aforementioned country.

As it is well known, the legislation undergoes certain changes along with the development of the country, which is a natural process. Nevertheless, I believe that the insurance law lags behind other agreements outlined in the Civil Code. This is primarily due to the continuous growth of the insurance sector, as previously mentioned. It is evident that the applicable law in Georgia "On Insurance", including those in the Civil Code, no longer adequately addresses the contemporary demands of the insurance market. Consequently, this deficiency leads to complex insurance relationships. This is why it's crucial to undertake the so-called "modernization" of insurance legislation and establish a strong foundation for the country's progress. For example, I propose consolidating Articles 801-816 into a single provision to accurately define the commencement of the insurance contract's effectiveness. Additionally, it would be beneficial to specify the time for the payment of the initial insurance deposit (premium).

Based on all of the above, I believe that this field requires revision and refinement by the legislator.

22 Soziashvili N. The effect of the principle of integrity in the insurance Contract, paper, Tbilisi, 2023.

23 Civil Code of Georgia, Tbilisi, 1997 (as of 01.11.2022).

BIBLIOGRAPHY:

1. Commentary on the Civil Code of Georgia, book four, volume II Tbilisi, 2001; (Internet) available at: <<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/44.-samoqalaqo-kodeqsis-komentari-tsigni-II-sanivtho-qonebrivi-samarthali.pdf>> [Last seen 23.04.2023].
2. Iremashvili K. Online commentary on the Civil Code, gccg.ge, 16.03.2016 (Internet) available at: <http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf> [Last seen: 23.05.2023].
3. Vashakidze G. Integrity according to the Civil Code of Georgia or applicable law, "Georgian Law Review", 2007, (Internet) available at: <<https://newvision.ge/geo/review-of-georgian-law/georgian-law-review-archive>> [Last seen 23.05.2023].
4. Dzagidze D. The meaning of insurance premium, Tbilisi, journal Individual and Constitution N3, 2003.
5. Kakashvili N. Insurable and uninsurable risks, Tbilisi, Journal of Business and Legislation 2009.
6. Khunashvili N. Dissertation paper, Tbilisi 2014;(Internet) available at: <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf> [Last seen 01.06.2023].
7. Soziashvili N. The effect of the principle of integrity in the insurance Contract, paper, Tbilisi, 2023.
8. Soziashvili N. The principle of integrity in insurance relations, planning and design of a research paper, Tbilisi, 2021.
9. Soziashvili N. Social and legal aspects of life insurance, scientific journal, LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Gori 2022 (Internet) available at: <https://www.researchgate.net/publication/367148715_ssip_-davit_aghmasheneblis_sakhelobis_ssip_-davit_aghmasheneblis_sakhelobis_sakartvelos_ervnuli_tavdatvis_akademia_sakartvelos_ervnuli_tavdatvis_akademia_LEPL_-DAVID_AGHMASHENEBELI_LEPL_-DAVID_AGH> [Last seen 10.06.2023].
10. Iremashvili K. Peculiarities of legal regulation of insurance, "Journal of Law", Faculty of Law of Ivane Javakishvili Tbilisi State University, N2, 2011; (Internet) available at: <<https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/issue/archive>> [Last seen 01.06.2023].
ლითზე, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის სამართლებრივი პრობლემების მეცნიერულ კვლევის პროცესს; გარდა ამისა, მიზნად ისახავს გამოყენებით პრაქტიკაში დაშვებულ შეცდომათა ანალიზისა და შინაპატიმრობის მომწესრიგებელ ნორმებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას.

განხორციელებული თეორიული/ემპირიული კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა სტატიაში გაკეთდეს სამართლებრივი ანალიზი ჩვენი ქვეყნისათვის აქამდე უცხო არასაპატიმრო სასჯელის შემოღება/დამკვიდრებაზე, თუ რამდენად გაამართლა აღნიშნულმა საკანონმდებლო ნოვაციამ და რა შეიძლება გაკეთდეს მისი შემდგომი დახვეწა/სრულყოფისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართულია იქეთკენ, რომ სწორი კომპლექსური მიდგომის შედეგად, ადგილი არ ჰქონდეს როგორც გადანყვეტილების მიმღები ორგანოს, ისე სასამართლოს მხრიდან აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების თაობაზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობას.

წინამდებარე ნაშრომის ცალკეულ თავში დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია როგორც ისტორიული, ფორმალურ – ლოგიკური, დოგმატური, ფორმალურ – იურიდიული, შედარებით სამართლებრივი, აღწერილობითი, სისტემური მეთოდები. ასევე, გამოყენებულია სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემები ადგილობრივი საბჭოების, ასევე, სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მიზნით, ხოლო დასკვნით ნაწილი ეძღვნება, იმ შემთხვევებზე, რომლებიც მიღებულია დასმული საკითხების შესწავლისა და სამეცნიერო დამუშავების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: შინაპატიმრობა, შეფასების კრიტერიუმები (შეფასებითი ნიშნები), საპატიმრო სასჯელი

შესავალი

თანამედროვე ქართულ სამართალში დღითიდღე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც სისხლის სამართლის, ისე სასჯელაღსრულების სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციას, ვინაიდან კანონის სიმკაცრე არ აღმოჩნდა გამოსავალი პრაქტიკაში შექმნილი მდგომარეობისა. ბოლო წლებში განხორციელებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა, აგრეთვე, სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციამ

არასაპატიმრო სასჯელების როლი თავისებურად წარმოაჩინა. სწორედ შინაპატიმრობის ინსტიტუტი ლიბერალიზაციის ერთ-ერთ გამორჩეულ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს არასაპატიმრო სასჯელთაგან არა მხოლოდ სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულის შეთხვევაში, არამედ არასრულწლოვნებთან მიმართებითაც. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ შინაპატიმრობა თავისუფლების აღკვეთის როგორც რეალური, ისე ეფექტიანი ალტერნატივაა, რომელიც

არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან სრულ იზოლირებასთან და წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვის, ასევე, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია – რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებას. ამით, როგორც ვხედავთ, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფო უკვე იყენებს ე.წ. „პოსტკრიმინალურ წამახალისებელ“ ნორმებს, რომელთაგან ერთ-ერთია შინაპატიმრობის დანიშვნის და აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები და სხვა.

საქართველოში სასჯელის ამ სახის შემოღებიდან, რომელსაც თავის მხრივ, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, გავიდა საკმაო პერიოდი, შეიცვალა გარკვეული მეცნიერული ანალიზი მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ეფექტიან ფუნქციონირებასთან მიმართებით. შესაბამისად, თემის განხილვა, თავისი შეფასებებითა და რეკომენდაციებით, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანია, მით უფრო იმ ფონზე, როცა იგი კვლავ რჩება საზოგადოების დაკვირვების მუდმივ ობიექტად.

თემის აქტუალურობა განაპირობა შიდა-სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის არასახარბიელო მდგომარეობამ; სასამართლოს მხრიდან არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობამ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების „გადასინჯვასთან“ მიმართებით; სტატისტიკური მონაცემების აღურიცხველობამ, რაც ეხება იმ პირთა პენიტენციურ დაწესებულებაში შებრუნების საკითხს, რომლებიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივმა საბჭოებმა გაათავისუფლა და შეუცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით, ასევე, იმ პირების, რომლებსაც სასამართლომ ძირითად სასჯელის სახედ განუსაზღვრა შინაპატიმრობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ მიერ არ მოხდა დაკისრებული მოვალეობების შესრულება ანდა მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ისევ დანაშაულის ჩადენას; ასევე, დასახელებული თემის თეორიულთან ერთად დიდმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ

როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში; გარდა ამისა, მოცემულ კონცეპტთან დაკავშირებით თანამედროვე ქართული იურიდიული ლიტერატურის სიმწირემ.

სტატია მიზნად ისახავს – მოხდეს შინაპატიმრობის სამართლებრივი ბუნებისა და რაობის გარკვევა, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის სამართლებრივი პრობლემების მეცნიერულ კვლევის პროცესს, გარდა ამისა, მიზნად ისახავს გამოყენებით პრაქტიკაში დაშვებულ შეცდომათა ანალიზისა და შინაპატიმრობის მომწესრიგებელ ნორმებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას. საკვლევი თემის ჰიპოთეზას წარმოადგენს დადგინდეს თუ რამდენად ქმედითი სასჯელის სახეა შინაპატიმრობა და რა განაპირობებს მისი გამოყენების სამართლებრივ პრობლემებს.

კვლევის მიზნის მისაღწევად, ფორმულირებულია ამოცანა: მეცნიერთა მოსაზრებების შესწავლა და პრობლემურ თემებთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხის გაცემის გზით კვლევის მიზნის მიღწევა, ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევა და რეკომენდაციების გაცემა მოქმედი კანონმდებლობის მოწესრიგება/სრულყოფის კუთხით.

კვლევის საგნად გვევლინება იურიდიულ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები შინაპატიმრობის დანიშვნის საკითხთან მიმართებით, ასევე, მისი გამოყენებისას წარმოშობილი პრობლემების მიზეზების გამოკვეთის, გამოვლენის სახეებისა და ფორმების შესახებ შესაბამისი პოზიციები, ხოლო კვლევის ობიექტია – შინაპატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი სამართლებრივი ხასიათის პრობლემები. თემის მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

- წინამდებარე სტატია პირველი ცდაა საკვლევი თემის კომპლექსური შეს-

წავლის და წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას;

- სტატიაში ჩამოყალიბებული იქნება პოზიცია შემდეგ საკითხზე : შეზღუდული უნდა იყოს თუ არა ადგილობრივი საბჭო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პრიორიტეტი მიაჩნის მხოლოდ ერთ ძირითად კრიტერიუმს;
- სამართალზომელობითი და ნორმათშემოქმედებითი თვალსაზრისით, სტატიაში დასაბუთებული იქნება პოზიცია – რამდენად გონივრულია შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმის ცვლილებაზე გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი დარეგულირდეს კანონქვემდებარე აქტით;
- სტატიაში გაანალიზებული იქნება შეხედულება, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებს დაემატოს შეფასებითი ნიშანი – სხვა სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიუღებლობა;
- სტატიაში შეფასებული იქნება სისხლის საპროცესო სამართლებრივი პრობლემები, მაგალითად, სასამართლო გათავისუფლების მექანიზმის დანიშვნისას, რამდენად იღებს მხედველობაში სასჯელის მიზნების მიღწევის საკითხს, რამდენად შესაძლებელია აღსრულება დაკისრებული მოვალეობების – განსაზღვრული რეჟიმის დაცვის ნაწილში;
- განხილული იქნება, თუ რა შეიძლება მოიხრებოდეს განსაკუთრებულ გარემოებად;
- განმარტებული იქნება, პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-8 ნაწილი შუამდგომლობათა განხილვის ქრილში და ა. შ.

შინაპატიმრობის არსი და მნიშვნელობა

შინაპატიმრობის კომპლექსური კლავის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ, თუ რას წარმოადგენს მოცემული სასჯელის სახე და როგორაა განმარტებული იგი როგორც ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში, ისე მოქმედ საკანონმდებლო ნორმებში.

ქართულ სამართლებრივ ჩარჩოში შინაპატიმრობის არსის განსახილველად უნდა შევხვით როგორც სისხლის სამართლის კოდექსს, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებას, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტები განმარტავენ მის რაობას. სისხლის სამართლის კოდექსის 47¹-ე მუხლის თანახმად, შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსის 47¹-ე მუხლის მსგავსად ადგენს შესაბამის განმარტებას შინაპატიმრობის თაობაზე, რომლის მოქმედება ამ შემთხვევაში ვრცელდება არასრულწლოვანთა მიმართებით, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირი, 24 საათის განმავლობაში სახლის პირობებში უნდა იყოს გათავსებული, გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსი შინაპატიმრობის ერთიან განმარტებას ახდენს. რაც შეეხება სასჯელაღსრულებით სისტემას, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4

1 საქართველოს სისხლის სამართლის სისხლის სამართლის კოდექსის 47¹-ე მუხლი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=253>> [ბოლო წვდომა 19.07.2023].

მუხლის პირველ ნაწილი განსაზღვრავს შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმს ისე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 47¹-ე მუხლი შინაპატიმრობას. ე.ი. მინისტრის ბრძანება აღრევს შინაპატიმრობის არსსა და აღსრულების რეჟიმს ისე, თითქოს მათ შორის იოტის ოდენა სხვაობაც არ იყოს. ვფიქრობ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ არ მოხდეს ამ ორი კონცეპტის ცნებათა ერთმანეთში გაიგივება. ხაზგასასმელია, ის გარემოებაც, რომ დასახელებულ მუხლებში უმეტესი ნაწილი ეთმობა შინაპატიმრობის გამოყენებისათვის საჭირო პირობებს და იქმნება ის განწყობაც, რომ დეფინიციის ნაწილი წუნდაუდებელი სახით არ არის განწერილი. მიმაჩნია, რომ შინაპატიმრობა უნდა განიშარტოს როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახე, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი აქტით დადგენილ, დღე-ღამის შესაბამის პერიოდში, მსჯავრდებულის/არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილზე მის უწყვეტად ყოფნის ვალდებულებას, რაც აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ანდა ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება. შესაძლოა, მოცემული განმარტება უნაკლო არაა, თუმცა ერთადერთი მცდელობაა იმისა, რომ კომპლექსური სახით მოხდეს შინაპატიმრობის რაობის წარმოჩენა, რაც მოცემული თემით დაინტერესებულ პირებს დაეხმარება კიდევ უფრო მეტად დახვეწოს ამ სასჯელის ცნება.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთადერთ მოსაზრებას შინაპატიმრობის არსთან დაკავშირებით ვხვდებით პროფესორ ვენედი ბენიძის დისერტაციაში, რომელიც მიიჩნევს, რომ შინაპატიმრობა არის თავისუფლების შეზღუდვა განსაზღვრული ვადით, სახლიდან გასვლის აკრძალვით და კანონით დადგენილი სხვა შეზღუდვების და-

წესებით (სატელეფონო საუბრის, კორესპონდენციების მიღება-გაგზავნის აკრძალვა, პოლიციის ზედამხედველობის დაწესება და ა.შ.), რომელიც ბრალდებულისა და განსასჯელის მიმართ გამოიყენება მოსამართლის ბრძანებით, მათი საზოგადოებისაგან დროებითი იზოლაციის მიზნით.² ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ზემოხსენებული განსაზღვრება უფრო მიესადაგება შინაპატიმრობის ისეთ განმარტებას, რომელიც მას მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების სახედ წარმოადგენს.

ალბათ, გავა დრო და ქართულ იურიდიულ დოგმატიკაშიც ოდესმე მოხდება მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული შინაპატიმრობის, როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახის დეფინიცია მოქმედ საკანონმდებლო აქტებში და შესაბამისი ცვლილებების გატარებაც მოხდება მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწისათვის.

აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის შემდეგ შინაპატიმრობა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახეა მისივე ვალდებულების ფორმიდან გამომდინარე, ერთგვარად შეგვიძლია ვთქვათ კიდევ, რომ იგი თავისი ბუნებით თავისუფლების აღკვეთასთანაა დაკავშირებული, თუმცა რეალურად გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, რაც ხელს უწყობს, რომ მისი აღსრულება მოხდეს საზოგადოებისაგან იზოლირების გარეშე, გარდა ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მეტად ხელსაყრელი საშუალებაა სახელმწიფოსთვის, რადგან სახელმწიფოს არ უწევს შესაბამისი ხარჯების გაღება პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა უზრუნველსაყოფად. ე.ი. სახელმწიფოს სასჯელის ამ კონკრეტული სახის აღსრულება გაცილებით იაფიც კი უჯდება. აგრეთვე, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამრღვევთა მდგომარეობაც, რა დროსაც შესაძლოა მოხდეს ისე, რომ პირს შინაპატიმრობა შეეცვალოს მოსამართლის გადაწყვე-

2 ბენიძე ვ., (2003), „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების თავისებურებანი“ (დის.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 118.

ტილების საფუძველზე სხვა სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებით, რაც, მათ შორის, მოიაზრებს უფრო მკაცრი ღონისძიების გატარებასაც, როგორცაა სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთის მისჯა. მაშასადამე, შინაპატიმრობის აღსრულება მორგებულია როგორც მსჯავრდებულის, ისე სახელმწიფოსა და კანონის ინტერესებს, ერთი მხრივ, ხელი შეეწყოს პირის რესოციალიზაცია – რეაბილიტაციას, მეორე მხრივ, კი მოხდეს ახალი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების თავიდან არიდება, რაც, საბოლოო ჯამში, მიზანმიმართულია იქეთკენ, რომ დაცულ იქნას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და თავისუფლებები. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შინაპატიმრობის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იგი საკმაოდ ქმედით სასჯელის სახეს წარმოადგენს.

შინაპატიმრობის სახეები და მისი აღსრულების მექანიზმი

„შინაპატიმრობა სამი სახისაა. ყველაზე მკაცრი – დაპატიმრებასთან ყველაზე მეტად დაახლოებული – არის შინაპატიმრობა, რომელიც ავალდებულებს დამნაშავეს მუდამ შინ იყოს. ნებადართული გამონაკლისია მისი სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტი ან რელიგიურ ცერემონიაში მონაწილეობა. ნაკლებად მკაცრია Home Detention – პირს შეუძლია დატოვოს სახლი მხოლოდ სამუშაოზე, სასწავლო დაწესებულებაში ან ექიმთან წასვლის დროს. ყველაზე ლიბერალური ფორმაა curfew, როდესაც პატიმარი ვალდებულია შინ იყოს გარკვეული საათების განმავლობაში, რასაც განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილება. ძირითადად, ეს ეხება ღამის საათებს“. „შინაპატიმრობას შეიძლება დაერთოს ელექტრონული კონტროლი“³. ამავე წესების მითითებით არ შეიძლება შინაპატიმრობა გამოყენებული იყოს არასწორად და შეუსაბამოდ. უნდა არსებობდეს ასეთი ალტერნატივის გამოყენების საფუძველი და

გათვალისწინებული უნდა იყოს დამნაშავეს პიროვნება.⁴

როგორც უკვე აღინიშნა, შინაპატიმრობა აღსრულება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ანდა ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება.

ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის („Electronic Monitored Home Confinement“) სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შინაპატიმრობის სამ სხვადასხვა სახეს გამოიყენებენ:

- კომენდანტის საათი („Curfew“) – პირს ღამის საათებსა და შაბათ-კვირას სახლიდან გაუსვლელობას ავალდებულებს. შინაპატიმრობის ეს სახე სასჯელის შედარებით მსუბუქი ფორმაა;
- „Home Detention“ – პირველი სახის შინაპატიმრობასთან შედარებით სასჯელის უფრო მკაცრი სახეა, რაც პირს მუდმივად სახლში ყოფნის ვალდებულებას აკისრებს და უფლებას აძლევს, საცხოვრებელი ადგილი მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისათვის დატოვოს;
- „Home Incarceration“ – შინაპატიმრობის ყველაზე მკაცრი ფორმაა, რაც გულისხმობს სახლიდან გასვლისა და სტუმრის მიღების აბსოლუტურ აკრძალვას.⁵

ასეთ დაყოფას არ იცნობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. შესაბამისად, შინაპატიმრობის აღსრულებისას დაკისრებული ვალდებულებები ამერიკის შეერთებული შტატებში არსებული ვალდებულებათა სახეებიდან რადიკალურად განსხვავდება. აქ, შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმი (შემდგომში – რეჟიმი) გულისხმობს სამართლებრივი აქტით დადგენილ, დღე-ღამის

3 პრადელი ე., (1999), „შედარებითი სისხლის სამართალი“, „სანი“, თბილისი, გვ. 431.

4 <https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf> [ბოლო წვდომა 12.06.2023].

5 Önel.,(2012)Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, S:3.

შესაბამის პერიოდში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე მის უწყვეტად ყოფნის ვალდებულებას.⁶

რაც შეეხება, შინაპატიმრობის აღსრულებას ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების გარეშე, ეს პიროვნულ ზედამხედველობასთანაა დაკავშირებული. პირი ამ დროს მოწმდება ან არარეგულარული სატელეფონო საუბრებით, ან პირადი ვიზიტებით. თანამედროვე პერიოდში ამგვარი არარეგულარული პიროვნული კონტაქტით განხორციელებულ შინაპატიმრობას, უმრავლეს შემთხვევაში, ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა ცვლის.⁷ საქართველოში შინაპატიმრობის აღსრულების ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება ზედამხედველობა ხდება პრობაციის ოფიცრის პერიოდული საკონტროლო ვიზიტების საშუალებით. ეს კი გულისხმობს მსჯავრდებულთან შინაპატიმრობის მოქმედების საათებში, სასჯელის აღსრულების ადგილზე თვეში არანაკლებ ექვსი, გაუფრთხილებელი ვიზიტის განხორციელებას.⁸

მსოფლიოში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების მრავალი სხვადასხვა სახე ზოგადად ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: ციხის კარამდელი („Frontdoor System“) და ციხის შემდგომი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა („Backdoor System“). ციხის კარამდელი ალტერნატივა პირს საპატიმრო სასჯელს

სრულად აცილებს თავიდან. ელექტრონული ზედამხედველობა ამ დროს გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად. ციხის შემდგომი სისტემა („Backdoor System“) კი საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივი მოხდის შემდეგ, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება.⁹

შინაპატიმრობის წარმოშობისა და ბანკითარების მოკლე ისტორიული რაპორტი

შინაპატიმრობის, როგორც სასჯელის სახის გამოყენებას დადასტურებული ფაქტით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვხვდებით, ბუნებრივია, იმ ეპოქაში ეს ძალიან ინოვაციური ნაბიჯი იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი სუბიექტი იმ დროში საკმაოდ წარმატებული მეცნიერი – გალილეო გალილეი იყო, შესაბამისად, ამ მეთოდის მოხმარება, მოშველიება სავარაუდოდ, იშვიათად ხდებოდა და ფართოდ არ გამოიყენებოდა, თუმცა როგორც სასჯელის სახის წარმოშობა პირველ დადასტურებულ ფაქტად სწორედ 1632 წელს ფიქსირდება იტალიაში, ქალაქ რომში.¹⁰ გალილეოს ნამუშევრები მნიშვნელოვანი გადახვევა იყო არისტოტელეს ნაზრევისგან. ამასთან ერთად მისი კონფლიქტი კათოლიკურ ეკლესიასთან განიხილება, როგორც დასავლურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადრეული მაგალითი ავტორიტეტთან კონფლიქტისა და აზროვნების თავისუფლებისა, განსაკუთრებით, მეცნიერების დარგში, დასავლურ საზოგადოებაში, ამის შედეგია ის, რომ გალილეი იძულებული გახდა 1616 წლის განკარგულებაში ეღიარებინა თავისი „შეცდომები“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წამებით ემუქრებოდნენ. გალილეო დათანხმდა და სა-

6 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველ ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3957873?publication=0>> [ბოლო წვდომა 16.08.2023].

7 Josine Junger-Tas., (1994), Alternatives to prison sentences, experiences and developments, Copyright 1994 Kugler Publications – Amsterdam / NeW York, p.31.

8 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3957873?publication=0>> [ბოლო წვდომა 16.08.2023].

9 მქედლიშვილი-ჰედრიხიქ., (2017), „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არარულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, გვ. 65.

10 <<http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm>> [ბოლო წვდომა 29.07.2023].

სამართლოში მიიყვანეს. 1633 წლის 21 ივნისს მას მიუსაჯეს უვადო თავისუფლების აღკვეთა და აიძულეს უერყო თავისი იდეები. რის შემდეგ, მას სასჯელი შინაპატიმრობით შეეცვალა. იგი პატიმრობაში იმყოფებოდა 1633 წლიდან 1638 წლამდე და ამ დროის მონაკვეთში მან კიდევ რამდენიმე ნაშრომის გამოქვეყნება შეძლო, რადგან მას უფლება ჰქონდა ზოგიერთი კოლეგა ვიზიტით მიეღო.¹¹

შინაპატიმრობის მასობრივი გამოყენება XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ტექნიკისა და, შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობის განვითარებას უკავშირდება. ექსპერიმენტები ადამიანის ელექტრონულ ზედამხედველობაზე ჯერ კიდევ 1964 წლიდან ტარდებოდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პირველი განაჩენი ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობით, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს იქნა გამოტანილი, როდესაც ჯეკ ლოვმა, ნიუ-მექსიკოს შტატის, ქალაქ ალბუკერკეს საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კომპიუტერული ტექნოლოგიის დილერი დაარწმუნა, შეემუშავებინა სისტემა 5 მსჯავრდებულზე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით.

თავდაპირველად, სისტემა მხოლოდ სახლში გამოიყენებოდა, ვინაიდან მას ფიქსირებული სატელეფონო ხაზები სჭირდებოდა. მოგვიანებით, 1990-იან წლებში მობილურმა მოწყობილობებმა და ინტერნეტ კავშირმა შესაძლებელი გახადა, ზედამხედველობა განხორციელებულიყო არა მხოლოდ სახლში, არამედ ნებისმიერ ადგილას, სადაც მსჯავრდებული გადაადგილდებოდა.¹² ამის შემდეგ აღნიშნული სასჯელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 1988 წლისთვის ამერიკის 32 შტატის მასშტაბით შინაპატიმრობაში მყოფი 2300 მსჯავრდებული აღირიცხებოდა,¹³ ხოლო ათი

წლის შემდეგ, 1998 წლის იანვრისთვის, შტატებში უკვე 95 ათასი ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმარი იყო.¹⁴ სხვა ქვეყნებში, კერძოდ: კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურში, სამხრეთ აფრიკაში, შვედეთსა და ჰოლანდიაში, ყოველ წელს მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც შინაპატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული, არაპროგნოზირებადი იყო.¹⁵ რაც შეეხება ევროპას, სასჯელის ამ სახემ ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, მოგვიანებით მოიკიდა ფეხი. ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში 1989 წელს დაინერგა დიდ ბრიტანეთში.¹⁶

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შინაპატიმრობა რუსეთში პირველად გამოყენებულ იქნა 1795 წელს გრაფ ბესტუჟევ – რიუმინის მიმართ.¹⁷ პ.ი. ლიუბლინსკის აზრით, კი ეს იძულებითი ღონისძიება, ჯერ კიდევ 1632 წელს იქნა გამოყენებული შეინის საქმეზე თავად ბელოსევსკის მიმართ.¹⁸ შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის 1923 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. მითითებულ პერიოდსა და კონტექსტში შინაპატიმრობის გამოყენება პოლიტიკური და კრიმინალური დამნაშავეების მიმართ ხდებოდა, თუმცა, ამ სასჯელის მოხდის ადგილი განსაზღვრული არ იყო, რაც პოლიტიკური დასჯის ინსტრუმენტს ქმნიდა.¹⁹

11 <<https://ka.warbletoncouncil.org/aportaciones-galileo-galilei-17>> [ბოლო წვდომა 25.07.2023].
12 ხერხეულიძე ი., (2014), „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტი“ (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის ანალიზი), მზია ლეკვიშვილი 85, საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი, გვ. 198.
13 Schmidt A., (1998) Electronic monitoring: What does

the literature tell us? Federal Probation, 62(2), P.10.
14 <http://www.slate.com/articles/news_and_politics/explainer/2009/01/youre_grounded.html> [ბოლო წვდომა 18.05.2023].
15 Dodgson K., Mortimer E., (2000), “Home detention curfew _ The First Year Of Operation”, Research Findings, P. 110.
16 მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., (2017), „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი, გვ. 64.
17 Макалинский П.В., (1907), “Практическое руководство для судебных следователей”, Изд-во б-е, СПб, с: 425.
18 Люблинский П.И., (1906), “Свобода личности в уголовном процессе”, СПб, с:228.
19 Ибрагимов Т., (2017), „ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ

ბუნებრივია, საერთაშორისო სამართლის სისტემა ქართულ სამართალზეც მუდამ ახდენდა ზეგავლენას, გამომდინარე აქედან, რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა ქართულ სამართალს და ზოგადად სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ამერიკული და ევროპული მოდელის წარმატებული ინსტიტუტების რეცეფციისათვის, მათ შორის, შინაპატიმრობის, როგორც უფრო მსუბუქი სახის სასჯელის ქართულ სამართლებრივ სივრცეში დასამკვიდრებლად. შინაპატიმრობის ინსტიტუტი საქართველოში 2015 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. სასჯელის ეს სახე გამოიყენებოდა მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. 2018 წლის პირველი იანვრიდან კი შინაპატიმრობა ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, შესაბამისად სრულწლოვან პირთა მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ამ სახის გამოყენებას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაინც არსებობს გარკვეული სამართლებრივი პრობლემები როგორც ნორმათშემოქმედებითი, ისე სამართალგამოყენებითი თვალსაზრისით.

საქართველოს კანონმდებლობა შინაპატიმრობის განსხვავებულ ვადებს გვთავაზობს სრულწლოვან მსჯავრდებულთა და არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით, სრულწლოვანი პირის შემთხვევაში ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით შესაძლოა, დაენიშნოს შინაპატიმრობა,²⁰ ხოლო არასრულწლოვანს ექვსი თვიდან 1 წლამდე, როგორც ეს რეგულირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აშკარაა, რომ სასჯელის ქვედა ზღვარს შორის სხვაობა არაა როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან პირთა მიმართებით, ხოლო ზედა ზღვარი იდე-

ნტური არაა, ეს კი არაპროპორციულობაზე მეტყველებს, ვფიქრობ, ამ კუთხით, მიზანშეწონილია, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ისევე და ისევე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებისათვის, თუნდაც სამ თვემდე ქვედა ზღვრის ჩამოწევა უკვე ხსნის ყოველგვარ ეჭვს არაპროპორციულ ზომასთან მიმართებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაადგენს, რომ არასრულწლოვანი პირის მიმართ შინაპატიმრობის საათის განმსაზღვრელი უფლებამოსილი ორგანო შესაძლებელია იყოს როგორც სასამართლო, ისე ადგილობრივი საბჭო დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას.

აგრეთვე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე არ არსებობს მოქმედ კანონმდებლობაში ისეთი სამართლებრივი ჩანაწერი, რომელიც მოაწესრიგებს შინაპატიმრობის რეჟიმის განსაზღვრის ძირითად წესა და პირობებს, რითაც გათვალისწინებული იქნება პიროვნების ინდივიდუალური ანგარიში და სხვადასხვა სახის გარემოებები, რაც ნათლად წარმოაჩენს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან იმ საფუძვლებს, რაც გახდა ძირითადი არგუმენტი კონკრეტული დროის მონაკვეთის განსაზღვრის.

შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს სასჯელადსრულებების სისტემაში არსებული ის საკანონმდებლო მექანიზმები, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი ეცვლება უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით. განმხილველ ორგანოს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები, რომელთა რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანებით.²¹ ადგილობრივი საბჭოე-

ДОМАШНЕГО АРЕСТА КАК МЕРЫ ПРЕСЕЧЕНИЯ В РОССИИ”, Новосибирск, с:57.

20 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=253>> [ბოლო წვდომა 12.07.2023].

21 საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანება. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0>> [ბოლო წვდომა 01.08.2023].

ბი მითითებული საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით, პატიმრობის კოდექსის მე-40, 41-ე და 43-ე მუხლებით, ასევე „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესით. ამ აქტებიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და პატიმრობის კოდექსი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სპეციფიკას მხოლოდ ზოგადად არეგულირებენ, საკითხის მნიშვნელოვან დეტალებს, ისეთი, როგორცაა, შეფასების კრიტერიუმები და დასაბუთების საზომი განსაზღვრავს ზემოხსენებული ბრძანება.

ბრძანების გაცნობისას ლოგიკურია, ჩნდება კითხვა – რამდენად სრულყოფილად და განსაზღვრული შეფასებითი ნიშნები, ანდა საჭიროებს თუ არა იგი რაიმე სახის კრიტერიუმის დამატებას, რაც ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთებას კიდევ უფრო მეტად გაამყარებს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიმაჩნია, გაინეროს მე-6 კრიტერიუმად ისეთი შეფასებითი ნიშანი, როგორცაა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე შემატყობილი გადაწყვეტილების მიუღებლობა. აქ, ადგილობრივ საბჭოებს, ერთგვარ დამხმარე საშუალებად შესაძლოა, გამოადგეთ ხსენებული კრიტერიუმი, იმ დროს, როცა უარყოფითი კონტექსტს მხოლოდ დანაშაულის ხასიათი ქმნის. ეს კი ერთობლიობაში კიდევ უფრო მეტად გაამყარებს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების არგუმენტაციას განსაკუთრებით მაშინ, როცა მსჯავრდებულს საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრებული აქვს და აქტის ბათილობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა, ხშირია შემთხვევა, როცა მართლმსაჯულების განმახორციე-

ლებელი ორგანო სრულად აკმაყოფილებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას და გათავისუფლების შემდეგ პირი პენიტენციურ დაწესებულებას ისევ უბრუნდება ან გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის ანდაც მისი მხრიდან კიდევ ახალი დანაშაულის ჩადენის გამო. აქ შესაძლოა, ვიღაცას ის აზრიც გაუჩნდეს, რომ ამით ერთგვარად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, თუმცა ვერ დავეთანხმები, ვინაიდან კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებულია განხილვის კონკრეტულ ეტაპზე და სარეზოლუციო ნაწილში კიდევ კეთდება შესაბამისი მითითება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან, რომ იმ ეტაპისთვის, იგულისხმება კანონით გათვალისწინებული შეღავათის განხილვის ეტაპი დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებს გადაწონის უარყოფითი, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ამდაგვარი დასაბუთება სხვა დროსაც შესაძლოა იყოს, ეს ერთგვარად, საბჭოს მხრიდან, შესაძლოა შეფასდეს დადებითად იმ კუთხით, რომ კონკრეტულ ეტაპზე არ მოხდეს სასჯელის მიზნის მიუღწევლობა და დაწესებულების გარეთ მყოფი საზოგადოების საფრთხეში ჩაგდება. ერთი მხრივ, უპრიანიცაა ასე მოხდეს, ხოლო თუ იქნა ისე, რომ პირი გამართლდა, დაწესებულებაში განთავსებულ ბენეფიციარს უკვე შეუძლია თავიდან მიმართოს საბჭოს მითითებული შეღავათის გავრცელების თაობაზე, აქ, ამ შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ახალ გარემოებებზე დაყრდნობით, საჯარო და კერძო ინტერესების აწონ-დაწონვისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით²² დამტკიცებული წესით

22 საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანება. <<https://matsne.gov.ge/ka/document/>

ერთ – ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სასჯელის მოხდის პერიოდში გამოყენებული დასჯა – ნახალისების ფაქტები, რაც ეფუძნება პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის გამოვლენილ ქცევას, თუ რამდენად იცავს იგი სარეჟიმო მოთხოვნებს, იცავს თუ არა დაწესებულების დებულებით განსაზღვრულ წესებს და ა. შ. განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ერთ – ერთ გამამყარებელ გარემოებად რეკომენდებულია გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება ისეთი სახით, სადაც გაჩნდება ჩანაწერი, რომ აუცილებელი არ არის დისციპლინური სახდელი მოქმედი იყოს, ვინაიდან ეს წარმოადგენს მსჯავრდებულის პიროვნების ზოგად მახასიათებელს და ამით ფასდება თუ რა დამოკიდებულება აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილ ქცევის წესებთან. ადგილობრივ საბჭოში შესულ შუამდგომლობების 21-ე პუნქტში ბევრჯერ ყოფილა შესაბამისი მონაცემები დატანილი არაერთგზის დისციპლინური სახდელის დადების, ქცევის დინამიკის შეფასების მიღმა დატოვება ვფიქრობ, გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ ბენეფიციარის ქმედებების გაუთვალისწინებლობას გადაწყვეტილების მიღებისას, რაც არამართებულია. ასეთ შემთხვევაში კი ისევ და ისევ, მივდივართ სასჯელის მიზნების შესახებ მსჯელობამდე, რომ თუ მსჯავრდებულის მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებაში გარკვეულ ეტაპზე ისევ იკვეთება ანტისოციალური ქცევის ტენდენციები, არის ალბათობა იმისა, რომ გათავისუფლების შემთხვევაშიც იგივე გამოვლინდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელებაზე მსჯელობისას, მსჯავრდებულის არამოქმედი დისციპლინური სახდელი სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში იქნას შეფასებული შესაბამისი შეფასებითი ნიშნებით, რის შემდეგაც საბჭოს მიერ მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

ადგილობრივი საბჭო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს დისკრეციული უფლე-

ბამოსილების გამოყენების საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით. „ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას რჩება შესაძლებლობა აირჩიოს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი“;²³ სადაც უნდა მოხდეს კონკრეტული საქმიდან თითოეული მხარის ინტერესების შეფასება, მეორე ინტერესთან შეპირისპირება და შემოწმება.²⁴ შესაძლოა, აქვე გაჩნდეს კითხვა თუ რამდენად უფლებამოსილია, ადგილობრივი საბჭო მხოლოდ ერთ კრიტერიუმს დაეყრდნოს დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,²⁵ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივი საბჭო შეზღუდული არ არის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტი მიანიჭოს მხოლოდ ერთ ძირითად კრიტერიუმს, მაგალითად დანაშაულის ხასიათს, აქ საბჭო უფლებამოსილია, შეაფასოს თუ რამდენად მიზანშეწონილია მსჯავრდებულს შეეცვალოს დარჩენილი სასჯელი – შინაპატიმრობით. ეს კი ნაკარნახევი უნდა

23 ტურავა პ., (2020), „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, თბილისი, გვ. 100.

24 ცხადაძე ქ., (2016), „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის“, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, გვ. 10.

25 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი. <<https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=43>> [ბოლო წვდომა 07.08.2023].

<[view/4289728?publication=0](https://matsne.gov.ge/document/view/4289728?publication=0)> [ბოლო წვდომა 01.08.2023].

იყოს საბჭოს წევრთა შინაგანი რწმენით და მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნებოდეს სადავო საკითხის ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებას. გამომდინარე აქედან, შესაძლოა მხოლოდ ერთი კრიტერიუმი გახდეს საფუძველი უარყოფითი ან სულაც დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის²⁶ იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ზეპირი მოსმენების ჩატარების წესს, რითაც სახალხო დამცველი რეკომენდაციას გასცემს შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ვფიქრობ, საკანონმდებლო ინიციატივა პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ მიზანშეუწონელია, ვინაიდან, ამით ხდება საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების დარღვევა. ამასთან, ყველა სავალდებულო კრიტერიუმი მოსალოდნელია ატარებდეს ზოგად ხასიათს, რომელთა გათვალისწინება დაუნერვლი ნორმების საფუძველზეც ხდება, გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა საბჭოში წარმოდგენილი შუამდგომლობა და საქმის მასალები დამატებითი შეკითხვების გაჩენას სულაც არ საჭიროებს. შესაბამისად, სავალდებულო კრიტერიუმების გაწერა ზეპირ სხდომაზე არაგონივრულად დიდი მოცულობის საქმეთა განხილვას გამოიწვევს, რაც საკანონმდებლო ვადის დარღვევის რისკსაც წარმოშობს. ასევე, მხარეს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლოს დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი საბჭოს წევრთა საქმიანობა ანაზღაურების გარეშეა, ისინი დასაქმებულნი არიან სხვადასხვა დაწესებულებებში. თუ მოხდება ისე, რომ ადგილობრივი საბჭოს აპარატის ადამიანური რესურსები გაიზრდება, ამავდროულად, საბჭოს წევრებს სამართლიანი ანაზღაურება მიეცემათ, მაშინ შესაძლოა დაიწყოს მსჯელობაც მოცემული

საკანონმდებლო ცვლილების გატარების პროცესზე, თუმცა, დღევანდელი მონაცემებით და არსებული გარემოებების საფუძველზე, ამ ეტაპისთვის შეუძლებელიცააა შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

დღევანდელი მდგომარეობით თუ თვალს გადავავლებთ პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-8 ნაწილს,²⁷ მისი შინაარსობრივი მხარე გარკვეულ ბუნდოვნებას წარმოშობს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის განხილვის თვალსაზრისით. ხსენებულ ნორმაში პირდაპირ არ არის გაწერილი, თუ მსჯავრდებულს დარჩენილი სასჯელის – შინაპატიმრობით შეცვლაზე შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილდა აქვს თუ არა მას უფლება ადგილობრივ საბჭოს მიმართოს დარჩენილი სასჯელის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე. მოცემულ ნორმაზე მსჯელობა შესაძლოა წავიყვანოთ ორი მიმართულებით : პირველ შემთხვევაში, მსჯავრდებული აღვჭურვოთ მიმართვის უფლებით იმ თვალსაზრისით, რომ ბენეფიციარის შუამდგომლობა განხილულ იქნას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე, მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის თქმიდან 6 თვე არ არის გასული და არგუმენტად მოვიყვანოთ ის გარემოება, რომ მას ხომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე არ დაუკმაყოფილეს მოთხოვნა, ის, რომ შინაპატიმრობით არ შეუცვალეს დარჩენილი ნაწილი არ გულისხმობს შემაფერხებელ გარემოებას, ადგილობრივი საბჭოსთვის, რათა მან მომავალ სხდომაზე იმსჯელოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე. ხოლო მეორე მსჯელობა განვავითაროთ ისე, რომ შევზღუდოთ განხილვის უფლება იმ თვალსაზრისით, რომ ვინაიდან ორივე სახის სასჯელი უფრო მსუბუქი სახისაა, სავალდებულოა, გავიდეს პატიმრობის კოდექსით დადგენილი ვადა იმ ფონზე, როცა თვით ნორმაც ზოგად ჩანაწერს გვთავაზობს მოცემულ თემასთან მიმართებით. თუ კარგად დავუ-

26 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში, (2022), თბილისი, გვ.60.

27 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-8 ნაწილი. < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=39> > [ბოლო წვდომა 07.08.2023].

კვირდებით ზემოხსენებული მუხლის შინაარს მივხვდებით, რომ სამართლებრივ ნორმაში ჩანანერი – „იმავე საკითხზე“ გულისხმობს ზოგადად, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის ყველა სახეს და არა კონკრეტულს, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ მსჯავრდებულს უარი ეთქვა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე, სავალდებულოა, გავიდეს უარიდან 6 თვე, რათა მოხდეს შუამდგომლობის განხილვა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე. ასეთივე მსჯელობა განვითარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლო იზიარებს მოპასუხის (ადგილობრივი საბჭოს) პოზიციას და აღნიშნავს, რომ კანონმდებელი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის ორი სხვადასხვა სასჯელით შეცვლის შესახებ წარდგენილ შუამდგომლობაზე მსჯელობას შესაძლებლად მიიჩნევს 6-თვიანი ვადის დაცვით, აღნიშნული ვადის დაუცველად საგამონაკლისო წესით ან ერთდროულად წარდგენისას.²⁸

მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, თუ რას გულისხმობს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-8 ნაწილში მითითებული ჩანანერი – „განსაკუთრებული გარემოება“.²⁹ არც ერთ სახელმძღვანელო აქტში პატიმრობის კოდექსის მსგავსად არ არის განწერილი განსაკუთრებულ გარემოებათა ჩამონათვალი ან რაიმე სახის განმარტება, რაც საბჭოს საშუალებას მისცემს კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განიხილოს მსჯავრდებულის შუამდგომლობა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე. რეკომენდებულია, ამ თვალსაზრისით, გატარდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და მოცემული ნორმის „მკვდარ ჩანანერს“ მიეცეს ისეთი ახსნა, რაც ამ მიმართულებით პრაქტიკის განვითარებას ხელს

შეუწყობს. ერთ – ერთ განსაკუთრებულ გარემოებად შეიძლება მოვიზიაროთ, ის შემთხვევა, როდესაც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო ადგილობრივ საბჭოს ავალდებულებს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი მსჯავრდებულის მიმართ დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით. აქ, უკვე აღარ უნდა მოხდეს დაცდა თუ როდის გავა შინაპატიმრობაზე უარის თქმიდან 6 – თვიანი კანონმდებლობით დადგენილი ვადა. ვფიქრობ, ამ თემით დაინტერესებულ პირს ზემოხსენებული მსჯელობა დაეხმარება კიდევ უფრო მეტად განავითაროს მეცნიერო კვლევის პროცესი და გააფართოოს განსაკუთრებულ გარემოებათა ჩამონათვლის ოდენობა.

ასევე, გასაანალიზებელია, რამდენად შესაძლებელია ადგილობრივმა საბჭომ მსჯავრდებულის მოთხოვნით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ორივე სახის მსუბუქი სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით ერთდროულად განიხილოს შუამდგომლობები. თუ დავფიქრდებით, დავინახავთ, რომ მსჯავრდებული საბჭოს წინაშე თავად შუამდგომლობს კონკრეტული სახის მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე და ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ხომ წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში იღებს. საგულისხმოა, რომ კანონმდებელიც შუამდგომლობის ავტორს არ ზღუდავს მხოლოდ ერთი სახის სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით წარადგინოს მოთხოვნა/შუამდგომლობა, რაც საბჭოს შესაძლებლობას აძლევს, ორივე შუამდგომლობის ერთდროულად წარდგენის შემთხვევაში, იმსჯელოს და მიიღოს ერთი ან ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება. გამომდინარე აქედან, ვასკვნით, რომ სრულიად შესაძლებელია ერთ სხდომაზე ერთი მსჯავრდებულის მიმართ იხილებოდეს როგორც დარჩენილი სასჯელის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხი, ისე შინაპატიმრობის.

შინაპატიმრობა, რომ თავისუფლების აღკვეთის ეფექტური და რეალური ალტერნატივაა საქართველოში, ამაზე მეტყველებს

28 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 29 აპრილის N3/3207-21 გადაწყვეტილება.

29 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-8 ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=39>> [ბოლო წვდომა 07.08.2023].

როგორც ზემოთ აღნიშნული დებულებები, ასევე, ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ადასტურებს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ოდენობას დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე, ასევე, მითითებულ ორგანოსთან მიმართვიანობის რაოდენობას. კერძოდ, 2022 წლის 12 თვის განმავლობაში განხილულ იქნა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეცვლასთან დაკავშირებით 2580 შუამდგომლობა. 270 მსჯავრდებულს შეეცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით (7 – ქალი და 263 მამაკაცი, მათ შორის 0 – არასრულწლოვანი მამაკაცი, 0 – არასრულწლოვანი ქალი); 2310 მსჯავრდებულს არ დაუკმაყოფილდა შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ.³⁰ ერთადერთი, რაც კვლევის პროცესში გამოიკვეთა იყო ის გარემოება, რომ ამ ეტაპამდე არ ხდება არც სასამართლოს და არც ადგილობრივი საბჭოების მხრიდან ისეთი სტატისტიკის წარმოება, რაც დაანახებს საკითხით დაინტერესებულ პირს პენიტენციურ დაწესებულებაში შემობრუნებულ პირთა ოდენობას სქესობრივ – ასაკობრივ ჭრილში, გასამართლების საფუძვლების მითითებით. გამომდინარე აქედან, საჭიროა, შემუშავდეს ისეთი აღრიცხვის წესი, რაც ხსენებულ კონცეპტებს ერთობლიობაში, ერთი სტანდარტით წარმოადგენს, ჩაშლილი სახით. მთავარი მიზანია, ხომ ისაა, რომ მოხდეს შეფასება რამდენად ქმედითია სასჯელის სახე და ხომ არ მოუტანია მის გამოყენებას ზიანი საჯარო და კერძო ინტერესებისათვის, თუნდაც სასჯელის მიზნების მიუღწევლობის კუთხით.

ადგილობრივი საბჭოს პრაქტიკაზე დაკვირვებით, აგრეთვე, გამოიკვეთა საჭიროება მოხდეს იუსტიციის მინისტრის ბრძანების გამოცემა, რაც განსაზღვრავს შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმის ცვლილების შე-

სახებ გადაწყვეტილების მიღების წესს. ეს ერთვარად გადაწყვეტილების მიღებ ორგანოს გაუმარტივებს მსჯლობის ჩამოყალიბების პროცესს, ასევე განსაზღვრავს გადაწყვეტილების დასაბუთებას. აუცილებელია, ბრძანებაში გაიწეროს შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმის ცვლილების სახელმძღვანელო სტანდარტები – კრიტერიუმები, ერთ შეფასებით ნიშნად შესაძლოა მოვიაზროთ გათავისუფლებულ პირსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც დგინდება, რომ განსაზღვრული დრო ობიექტურად ხელს უშლის პირს მუშაობის სრულყოფილ განხორციელებაში სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, შემდეგი კრიტერიუმი შეიძლება იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი, რომლითაც დასტურდება აუცილებლობა ცვლილება განხორციელდეს ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რადგან ბენეფიციარს სრულყოფილად გაეწიოს საჭირო დახმარება სამედიცინო პერსონალის მხრიდან და ა. შ. საბჭოს მიერ განსაზღვრული დრო მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს გათავისუფლებულს მოახდინოს საზოგადოებაში რეაბილიტაცია, თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი შემთხვევაც, სადაც საჭიროა, განსაზღვრულ იქნას შედარებით მკაცრი რეჟიმი სადაც ისევ და ისევ დაბალანსებული უნდა იყოს როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესები, ეს ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა სასამართლოს მხრიდან ადგილობრივ საბჭოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე, რომლის შუამდგომლობაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის ხსენებული რეჟიმის დადგენის აუცილებლობას. განსაკუთრებით, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ადგილობრივი საბჭოსა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს პოზიცია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია, პირი 5 კრიტერიუმიდან 4 აკმაყოფილებს უარი ეთქვას სასჯელის შეცვლაზე, ამ დროს კი სასამართლო სრულიად საპირისპირო პოზიციას აყალიბებს გამოტანილ გადაწყვეტილებაში. როგორც ვხედავთ,

30 <<http://sps.gov.ge/ka/public-information/2/>> [ბოლო წვდომა 21.08.2023].

ამ ეტაპისთვის არაერთი საკითხი დაგროვდა, რომელზე მსჯელობაც მოცემულ მომენტამდე არ მომხდარა სამეცნიერო საზოგადოებაში. ზემოხსენებული დებულებათა უმეტესობა პირველი ცდაა საკვლევი თემის კომპლექსური შესწავლის.

სასამართლო პრაქტიკა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის – შინაპატიმრობის გამოყენების საკითხთან მიმართებით

წინამდებარე თავში შინაპატიმრობის დანიშვნის საკითხი განხილული იქნება მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შერჩეულია მხოლოდ იმ საქმეთა ნაწილი, სადაც გამოვლენილია მცირე ხარვეზები, ეს ემსახურება არა სასამართლოს კრიტიკას ანდა გაკიცხვას, არამედ სამომავლოდ დარღვევათა აცილების, შეცდომათა რაოდენობის შემცირების პროცესს, რადგან დადგენილ იქნას ობიექტური ქეშმარიტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისას ერთ-ერთ განაჩენში საათების განსაზღვრისას სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის პირველ ნაწილზე – „შინაპატიმრობის პერიოდში 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მას დაეკისროს თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 22:00 საათიდან 07:00 საათამდე“.³¹ განსაზღვრული შინაპატიმრობის რეჟიმთან დაკავშირებით სასამართლოს მხოლოდ ეს უნერია განაჩენში. რის საფუძველზე დაადგინა მოსამართლემ დროის ეს მონაკვეთი, რამდენად იქნა გათვალისწინებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები რაც მისი განსაზღვრის აუცილებლობას წარმოაჩენს განაჩენიდან მსგავსი რამ არ იკვეთება. მიზანშეწონილია გარკვეული არგუმენტაცია დატანილი იყოს დასაბუთების ნაწილში შინაპატიმრობის გამოყენების თაობაზე მსჯელობისას.

31 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1ა/გ-27-17.

ძირითადი სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნისას საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებისა და დროის განსაზღვრული პერიოდის მიუთითებლობაზე შეტყვევებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 04 იანვრის განაჩენით, რომლითაც მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 05 მაისის განაჩენში პ.ბ.-ს მიმართ, სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება. პ.ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 2 (ორი) წლის ვადით. პ.ბ. პატიმრობიდან გათავისუფლდა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან. პ.ბ.-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2018 წლის 10 იანვრიდან 2018 წლის 14 იანვრის ჩათვლით და 2019 წლის 05 მაისიდან 2020 წლის 04 იანვრამდე. განაჩენიდან აშკარად ჩანს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ პ.ბ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა შინაპატიმრობა 2 წლის ვადით,³² თუმცა არ მიუთითა სარეჟიმო პირობებზე, რა პერიოდის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს იგი საცხოვრებელ ტერიტორიაზე, ასევე, არ არის დადგენილი წესი, რაც ეხება საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 471 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წესი.³³

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით, ლ.ჭ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და

32 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 04 იანვრის განაჩენი, საქმე №1ა/გ-04-20.

33 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 471 მუხლის პირველი ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=253>> [ბოლო წვდომა 21.09.2023].

ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 8 (რვა) თვის ვადით. ლ.ჭ.-ს დაეკისრა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება 03:00 საათიდან 08:00 საათამდე პერიოდში. ზემოაღნიშნული განაჩენიდან ირკვევა, რომ მოსამართლემ ლ.ჭ.-ს საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება დაუწესა ღამის 3 საათიდან დილის 8 საათამდე.³⁴ მიმაჩნია, რომ დაწესებული რეჟიმი არაგონივრულია იმ თვალსაზრისით, რომ პირის რეაბილიტაცია მოცემულ მომენტში სრულიად შეუძლებელია, მოცემულ შემთხვევაში აზრს მოკლებულია განათლების მიღების შესაძლებლობის საკითხის განხილვაც კი. გარდა ამისა, შესაძლოა მოცემულმა გარემოებამ ხელი შეუწყოს ისევ ახალი დანაშაულის განხორციელების პროცესს.

რაც შეეხება ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას, გვერდს ვერ ავუვლით მათ არაერთგვაროვნებაზე მსჯელობას. ამისი ნათელი მაგალითია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 04 მარტისა³⁵ და 2022 წლის 28 თებერვლის³⁶ გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ერთი და იგივე პირის მიმართ, იდენტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ერთ შემთხვევაში მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლ.კ.-ს სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში არ დააკმაყოფილა, დასაბუთების ნაწილიც ისეა არგუმენტირებული განსაკუთრებულ სხვაობას ვერც კი შეამჩნევს მათი კითხვისას ობიექტურად მოაზროვნე პირი. ლ. კ. არაერთგვაროვნის იყო სასამართლო, მის მიმართ წარსულში გამოყენებული იქნა კანონით გათვალისწინებული შეღავათი, თუმცა ეს არ აღმოჩნდა შემდგომ მისი ქცე-

ვის შემცვლელი პოზიტიური გარემოება და კვლავ იქნა განხორციელებული ლ.კ.-ს მხრიდან სხვადასხვა ხასიათის დანაშაული, მათ შორის ყაჩაღობა. შესაბამისად, 2022 წლის 4 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მხოლოდ იმ საფუძველზე რომ გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით სადავოა, თუნდაც იმ კუთხით, რომ არანაირი მითითება არ არის გაკეთებული, თუ რა გარემოება დატოვა განმხილველმა ორგანომ შეფასების მიღმა და რატომ დააკმაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ, როცა სახეზეა 5 სახელმძღვანელო სტანდარტიდან 3 შეფასებითი ნიშნის არსებობა მის საქმეში. არგუმენტაცია, რომ ეს მოსამართლის შინაგანა რწმენით იყო ნაკარნახევი, საკმარის დასაბუთებას მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს. მიზანშეწონილია, მსგავსი გარემოებების არსებობისას სასამართლო პრაქტიკა ისე განვითარდეს რაღაც საერთო სტანდარტი ჩამოყალიბდეს და ადგილი არ ჰქონდეს არაერთგვაროვან გადაწყვეტილებათა მიღებას.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როცა მართმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოდან სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ადგილობრივი საბჭოს გამოტანილ შედეგებთან, რომელიც უშუალოდ ეხება მსჯავრდებულთა დარჩენილი სასჯელის – შინაპატიმრობით შეცვლის საკითხს. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც გ.ჭ.-ს სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილდა. საბჭომ გ.ჭ.-ს დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასთან და მისი პიროვნული მახასიათებლები. სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისების ფაქტი, თუმცა ყურადღება გაამახვილა დანაშაულის

34 ვარძელაშვილი ი., (2020), „სასჯელის დანიშნის ზოგიერთი საკითხი (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“, თბილისი, გვ.28-29.
 35 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 04 მარტის N3/7692-21 გადაწყვეტილება.
 36 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის N/8099-21 გადაწყვეტილება.

ხასიათზე, სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა, კერძოდ, კი გ.ჯ.-ს მხრიდან განხორციელდა ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა. ამასთან, არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია. გარდა ამისა, მხედველობაში იქნა მიღებული ის, ფაქტი, რომ გ.ჯ.-ს წარსულში ნასამართლევი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – თაღლითობის ჩადენისათვის. შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ჩადენილი დანაშაულის ხასიათმა, თუ რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა განხორციელებული დანაშაული, ასევე, წარსულში ნასამართლობამ. შესაბამისად, იმ მომენტისათვის მიიჩნია, რომ იუსტიციის მინისტრის 320 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა. ამ ფაქტობრივი გარემოებების ფონზე კი მოსამართლემ გ.ჯ.-ს სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა იმ დასაბუთებით, რომ მეუღლე გ.ჯ. პატიობს მის მიმართ ჩადენილ არაკანონიერ ქმედებას და მასთან პრეტენზია არ გააჩნია.³⁷ მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლემ როგორც ვხედავთ, უკუაგდო საბჭოს სახელმძღვანელო სტანდარტით განსაზღვრული კრიტერიუმები და წინა პლანზე წამოწია საქმეში არსებული დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, იმ ფონზე, როცა დაზარალებულის პოზიცია საერთოდ არ არის ხსენებული აქტით დადგენილი შეფასებითი ნიშანი. რა თქმა უნდა, ეს პოზიცია არ უნდა გავიგოთ, ისე თითქოს, მნიშვნელობა არ აქვს მსხვერპლის აზრის გაგებას, თუმცა მხოლოდ ამ საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება სრულიად უსაფუძვლოა. ვფიქრობ, საბჭომ მართებულად მიიღო გ.ჯ.-ს მიმართ დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლა-

ზე უარყოფითი გადაწყვეტილება, სწორედ მისი პოზიტიური ვალდებულება იზრუნოს არასრულწლოვნებისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნაზე. უსაფრთხო გარემოში ცხოვრებაზე. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტი პირველ რიგში ხომ მის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვას, ნორმალურ ფიზიკურ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე ზრუნვას გულისხმობს, გამომდინარე აქედან, მოსამართლესაც მხედველობაში უმთავრესად უნდა მიეღო ხსენებული გარემოებები.

რაც შეეხება ზემდგომ ინსტანციაში არსებულ პრაქტიკას, ვითარება გვესახება შემდეგნაირად: სააპელაციო სასამართლო იშვიათად ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, უცვლელად დატოვების სამართლებრივ შეფასებაში ძირითადად აღნიშნულია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებები სწორად შეფასებულია და გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა ეჭვს არ იწვევს. საგამონაკლისო წრეშია შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის №3/6450-19 გადაწყვეტილების ცვლილება, რომლითაც მსჯავრდებულის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადგილობრივი საბჭოს საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის ხელახლა განხილვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის ფონზე.³⁸

საკასაციო სასამართლოს შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პრაქტიკა რამდენიმე თვეა, რაც დაინერგა სასჯელაღსრულების სისტემაში, ამ ეტაპისთვის უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებათა უმრავლესობა ეხება სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებაზე კასატორის საჩივრის განუხილველად დატოვებას, ასე-

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 დეკემბრის N3/4313-20 გადაწყვეტილება.

38 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 სექტემბრის №3ბ/295-19 გადაწყვეტილება.

თია, თუნდაც, უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის განჩინება, რითიც ე. ე.-ს საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა საკასაციო სასამართლომ და განჩინება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60, 396-ე, 399-ე მუხლების გამოყენებით გამოიტანა.³⁹

შინაპატიმრობის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება

მოცემულ თავში მოხდება განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისა და გამოცდილების ფონზე შინაპატიმრობის გამოყენების თავისებურებების.

ელექტრონული სამაჯური პირველად 1983 წელს აშშ-ში იქნა შემოღებული და მაშინვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების კრიმინოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი მიზანი გადატვირთული ციხეების განტვირთვა იყო. აშშ-ის შემდეგ ელექტრონული ზედამხედველობა 1998 წლიდან 2000 წლამდე შემოღებულ იქნა ევროპის ქვეყნებში, შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში. მოგვიანებით კი, შვეიცარიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში ან როგორც კოდიფიცირებული ვალდებულება ან სასჯელი, ანდა როგორც საცდელი პროექტი. ელექტრონული სამაჯური განსაკუთრებულად გავრცელდა შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და ბელგიაში. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში კი მათ შედარებით ნაკლებად იყენებენ.⁴⁰

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით უბრალოდ შეცვლილია შინაპატიმრობის სახელწოდება და მას სახლიდან გაუსვლელობას უწოდებენ. ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს სლოვაკეთი. სლოვაკეთის სისხლის

სამართლის კოდექსის თანახმად, პირს შესაბამისი სამართალდარღვევისათვის სახლიდან გაუსვლელობა ეკისრება 1 წლამდე ვადით. დამნაშავეებს, რომელთაც მიესაჯათ სახლიდან გაუსვლელობა ექვემდებარებიან შემდეგ პირობებს:

- დამნაშავე ვალდებულია დარჩეს სახლში იმ გარკვეული დროით, რომელიც
- სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დადენილი;
- დამნაშავე ვალდებულია მიჰყვეს წესიერ ცხოვრებას;
- დამნაშავე ვალდებულია წარუდგინოს სათვალთვალ ელექტრონულ მონიტორინგს საჭირო ანგარიში, თუ ეს სასამართლო გადაწყვეტილებით აქვს დაკისრებული;
- დამნაშავეს უფლება აქვს დატოვოს საკუთარი სახლი მხოლოდ მაშინ, როცა ის ეფუძნება გადაუდებელ მიზეზებს საჭირო დროის განმავლობაში.

ამ პირობების ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დაკისრებული ალტერნატიული სასჯელის გაუქმება. თუ ეს ასეა, სასამართლო სახლიდან გაუსვლელობის შეუსრულებელი ვადის ორ დღეს შეცვლის თავისუფლების აღკვეთის 1 დღედ. სლოვაკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას ელექტრონული თვალთვალის შესახებ. დამნაშავეზე ზედამხედველობა სრულდება პრობაციისა და მედიაციის ოფიცრების მიერ, ალბათ დამნაშავეს სახლში ვიზიტების გზით. სლოვაკეთის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია სპეციალური აქტი – გამოყენებულ იქნეს თუ არა ელექტრონული მონიტორინგი. არსებობს მრავალი საკითხი, რომელიც საჭიროებს აუცილებლად მოგვარებას, სანამ კანონპროექტს მიიღებენ, მაგალითად: რა სახის ელექტრონული მონიტორინგები უნდა იქნას გამოყენებული, დამნაშავეს ღირსების საკითხები; დამნაშავესა და მისი ოჯახის კონფიდენციალურობის ფარგლები; სახლიდან გაუსვლელობის სასჯელის აღსრულების ეთიკის ასპექტები; სექსუალურ და ოჯახური ძალადობის დამნაშავე პირთა საკითხები.⁴¹

39 უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის Nბს-283(კ-23) განჩინება.

40 ავტორთა კოლექტივი, (2016), „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თბილისი, გვ. 700.

41 Tobiasova L., (2007), “Development And Construction

ელექტრონული სამაჯურის სამშობლოში, აშშ-ში, როგორც წესი, ეს მოწყობილობა დანაშაულის განხორციელების დაბალი რისკის მქონე პირთა მიმართ გამოიყენება. ესენია პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომლებიც რეციდივის ალბათობის დაბალი საშიშროებით ხასიათდებიან და მყარი სოციალური ფონის ნაწილებად გვევლინებიან. განსაკუთრებით ხშირად ეს სასჯელი გამოიყენება აშშ-ისა და შვედეთში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული.⁴²

ელექტრონული სამაჯური ინგლისში ძირითადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულებისათვის გამოიყენება.

ნიდერლანდებში 1995 წლიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების საპილოტო პროგრამები ხორციელდება. ელექტრონული სამაჯური გამოიყენება არა მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უცილობლად მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, არამედ აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლების დროსაც. ნიდერლანდებში ელ. სამაჯურისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კომბინაციასაც ვხვდებით.⁴³

ესპანეთში სახლიდან გაუსვლელობა (შიდა პატიმრობა) მსჯავრდებულებს ეკისრებათ მაქსიმუმ, 12 დღემდე. დამნაშავე, რომელსაც სახლიდან გაუსვლელობა მიესაჯა, ვალდებულია მასზე დაკისრებული სასჯელი მოიხადოს თავის სახლში ან სხვაგან, როგორც ეს განსაზღვრულია მოსამართლისგან სასამართლოს განაჩენით. განაჩენი შესაძლოა აღსრულებული იქნას ნაწილ-ნაწილ, ანუ ერთჯერ ან მეტჯერ შეწყვეტით. განაჩენის სა-

ნგრძლივობა უცვლელი რჩება, თუმცა ეს მუშაობს არაგანგრძობითად, მხოლოდ შაბათს და კვირას (შაბათ-კვირას (უიქენდზე) სახლიდან გაუსვლელობა). შაბათ-კვირას (უიქენდზე) სახლიდან გაუსვლელობა ინიშნება განაჩენის გამოტანის დროს და ის, როგორც წესი მუშაობს ციხეში, რომელიც ყველაზე ახლოსაა დამნაშავეს საცხოვრებელ ადგილთან. მოსამართლეს ან სასამართლოს განაჩენის დანიშვნის მეშვეობით, შეუძლიათ დანიშნონ შიდა პატიმრობა კვირის სხვა დღეებში ან სხვა ადგილას. თუ დამნაშავეს აქვს ორი არასანქცირებული გამოუცხადებლობა (უყურადღებობა) ზემდგომ მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს სასჯელი ყოველგვარი შეფერხების (შენწყვეტის) გარეშე. ამჟამად, ესპანეთი იხილავს კანონპროექტს (შაბათ-კვირას (უიქენდზე) სახლიდან გაუსვლელობის) გაუქმების თაობაზე, რადგან იგი არის არაეფექტური, რასაც ამ ტიპის სასჯელის შვიდწლიანი (არდამაკმაყოფილებელი) გამოცდილება უჩვენებს.⁴⁴

გერმანიის მიწათაგან ჰესენის მიწას ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. ამ მხარემ კონტროლის ეს ახალი საშუალება 2000 წლიდან დაწერა. ჰესენის საპილოტო პროექტი ელექტრონული სამაჯურის გამოყენებას შემდეგ შემთხვევებში ითვალისწინებდა:

1. პირობითი მსჯავრის შეფარდებისას მოვალეობის დაკისრება;
2. პირობითი მსჯავრის გაუქმების მაგიერ;
3. ქცევაზე კონტროლისას პრევენციული პატიმრობის შემდეგ;
4. წინასწარი პატიმრობის მაგიერ და მოგვიანებით ასევე;
5. ჰესენის მიწის შეწყალების შესახებ კანონით შეწყალებისას;
6. შემდგომ კი ამ ჩამონათვალს დაემატა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ღონისძიება. არასრულწლოვანთა „წინასწარი გათავისუფლება“ სასჯელის მოხდა-

of the European Legal System, Alternative Penalties“ Bratislava, p. 271.

42 Kubik, (2001), “Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel“, Berlin , S:618.

43 Önel, (2012), Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, S: 13.

44 Tobiasova L., (2007), “Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties“ Bratislava, p. 272.

მდე ოთხი თვით ადრე, თავისუფლების პირობებთან ადაპტაციისათვის.

ყველა ამ შემთხვევაში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გარეშე თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გადაუდებელი აუცილებლობა იქნებოდა. ამგვარად, ელექტრონული სამაჯური ჰესენში ორ ფუნქციას ასრულებს. ესაა ან უცილობელი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, ანდა პრევენციული პატიმრობიდან გათავისუფლებულზე ზედამხედველობის საშუალება.⁴⁵

ზოგიერთ ქვეყანაში ელექტრონული ზედამხედველობის ხარჯის ნაწილს მსჯავრდებული ანაზღაურებს. ავსტრიაში ეს თანხა ყოველდღიურად 22 ევროს შეადგენს.⁴⁶

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებული სისტემა რადიკალურად განსხვავებულია ჯერ კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ არ ხდება შინაპატიმრობის ფორმებად დაყოფა, აგრეთვე, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შემთხვევაში დაწესებული საფასურის ოდენობაც განსხვავებულია, ასევე, არ ხდება სოც. დაუცველთა გათავისუფლება ხსენებული გადასახადის გადახდისაგან, კვლევის პროცესში ვერ იქნა მოძიებული ისეთი, ნორმა რომელიც არეგულირებს ავსტრიაში ყოველდღიურად 22 ევროს გადახდისაგან გათავისუფლებულ პირთა წრეს, აქვე გასათვალისწინებელია, ის ფაქტორიც, რომ შინაპატიმრობის დანიშვნის გადანაცვების მიმღები ორგანო და მისი საქმიანობის წესი, ფუნქციებთან ერთად ჩვენი ქვეყნისაგან რადიკალურად განსხვავებულია.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, შინაპატიმრობა, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სახეს წარმოადგენს და ქართული კანონმდებლობისთვის უცხო არ არის, სასამართლო პრაქტიკამ და განვლილმა პერიოდმა აშკარად, მთელი სიცხადით, წარმოაჩინა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნა ზოგად სამართლებრივი დახასიათებით.

პრაქტიკული და სამეცნიერო მასალების შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჩამოაყალიბდეს რამდენიმე დებულება, რომელიც წინამდებარე თემასთან მიმართებით არსებული ხარვეზების ნოვატორულ გადანაცვლებას მოიცავს:

მიზანშეწონილია, შინაპატიმრობა, განიშარტოს როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახე, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი აქტით დადგენილ, დღე-ღამის შესაბამის პერიოდში, მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილზე მის უწყვეტად ყოფნის ვალდებულებას, რაც აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ანდა ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება.

საქართველოს კანონმდებლობა შინაპატიმრობის განსხვავებულ ვადებს გვთავაზობს სრულწლოვან მსჯავრდებულთა და არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით, სრულწლოვანი პირის შემთხვევაში ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით შესაძლოა, დაენიშნოს შინაპატიმრობა, ხოლო არასრულწლოვანს ექვსი თვიდან 1 წლამდე, როგორც ეს რეგულირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აშკარაა, რომ სასჯელის ქვედა ზღვარს შორის სხვაობა არაა როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან პირთა მიმართებით, ხოლო ზედა ზღვარი იდენტური არაა, ეს კი არაპროპორციულობაზე მეტყველებს,

45 Mayer M. (2004), „Modellprojekt elektronische Fußfessel“, Freiburg im Breisgau, S:16.

46 მჭედლიშვილი-ჭედრიანი ქ., (2017) შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, გვ.70.

ვფიქრობ, ამ კუთხით, მიზანშეწონილია, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ისევ და ისევ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებისათვის, თუნდაც სამ თვემდე ქვედა ზღვრის ჩამონევა უკვე ხნის ყოველგვარ ეჭვს არაპროპორციულ ზომასთან მიმართებით.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე არ არსებობს მოქმედ კანონმდებლობაში ისეთი სამართლებრივი ჩანაწერი, რაც მოაწესრიგებს შინაპატიმრობის რეჟიმის განსაზღვრის ძირითად წესსა და პირობებს, რითაც გათვალისწინებული იქნება პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლები და სხვადასხვა სახის გარემოებები, რაც ნათლად წარმოაჩენს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან იმ ძირითად საფუძვლებს, რაც გახდა ძირითადი არგუმენტი კონკრეტული დროის მონაკვეთის განსაზღვრის.

მიზანშეწონილია, გაიწეროს იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანებაში მე-6 კრიტერიუმად ისეთი შეფასებითი ნიშანი, როგორიცაა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე შემატყაველი გადაწყვეტილების მიუღებლობა.

მნიშვნელოვანია, კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელებაზე მსჯელობისას მსჯავრდებულის არამოქმედი დისციპლინური სახდელი სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში იქნას შეფასებული შესაბამისი შეფასებითი ნიშნებით, რის შემდეგაც საბჭოს მიერ მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭო შეზღუდული არ არის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტი მიანიჭოს მხოლოდ ერთ ძირითად კრიტერიუმს, მაგალითად დანაშაულის ხასიათს, აქ საბჭო უფლებამოსილია, შეაფასოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია მსჯავრდებულს შეეცვალოს დარჩენილი სასჯელი – შინაპატიმრობით. ეს კი ნაკარნახევი უნდა იყოს საბჭოს წევრთა შინაგანი რწმენით და მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნებოდეს სადავო საკითხის ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებას. გა-

მომდინარე აქედან, შესაძლოა მხოლოდ ერთი კრიტერიუმი გახდეს საფუძველი უარყოფითი ან სულაც დადებითი გადაწყვეტილების მიღების.

სავალდებულო კრიტერიუმების განწერა ზეპირ სხდომაზე არაგონივრულად დიდი მოცულობის საქმეთა განხილვას გამოიწვევს, რაც საკანონმდებლო ვადის დარღვევის რისკსაც წარმოშობს, ასევე, მხარეს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლოს დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულებით.

კანონმდებელი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის ორი სხვადასხვა სასჯელით შეცვლის შესახებ წარდგენილ შუამდგომლობაზე მსჯელობას შესაძლებლად მიიჩნევს 6-თვიანი ვადის დაცვით, აღნიშნული ვადის დაუცველად საგამონაკლისო წესით ან ერთდროულად წარდგენისას.

არც ერთ სახელმძღვანელო აქტში პატიმრობის კოდექსის მსგავსად არ არის განწერილი განსაკუთრებულ გარემოებათა ჩამონათვალი ან რაიმე სახის განმარტება, რაც საბჭოს საშუალებას მისცემს კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განიხილოს მსჯავრდებულის შუამდგომლობა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე. რეკომენდებულია, ამ თვალსაზრისით, გატარდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და მოცემული ნორმის „მკვდარ ჩანაწერს“ მისცეს ისეთი ახსნა, რაც ამ მიმართულებით პრაქტიკის განვითარებას ხელს შეუწყობს.

კანონმდებელი შუამდგომლობის ავტორს არ ზღუდავს მხოლოდ ერთი სახის სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით წარადგინოს მოთხოვნა/შუამდგომლობა, რაც საბჭოს შესაძლებლობას აძლევს ორივე შუამდგომლობის ერთდროულად წარდგენის შემთხვევაში იმსჯელოს და მიიღოს ერთი ან ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა იყო ის გარემოება, რომ ამ ეტაპამდე არ ხდება არც სასამართლოს და არც ადგილობრივი საბჭოების მხრიდან ისეთი სტატისტიკის წარმოება, რაც დაანახებს საკითხით დაინტერესებულ პირს პენიტენციურ დაწესებულებაში შემობრუნებულ პირთა ოდენობას სქესობ-

რიგ-ასაკობრივ წრილში გასამართლების საფუძვლების მითითებით. გამომდინარე აქედან, საჭიროა, შემუშავდეს ისეთი აღრიცხვის წესი, რაც ხსენებულ კონცეპტებს ერთობლიობაში, ერთი სტანდარტით წარმოადგენს, ჩაშლილი სახით.

ადგილობრივი საბჭოს პრაქტიკაზე დაკვირვებით, აგრეთვე, გამოიკვეთა საჭიროება მოხდეს იუსტიციის მინისტრის ბრძანების გამოცემა, რაც განსაზღვრავს შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს.

სტატიაში შერჩეულია, მხოლოდ იმ საქმეთა ნაწილი, სადაც გამოვლენილია მცირე ხარვეზები, ეს ემსახურება არა სასამართლოს

კრიტიკას ანდა გაკიცხვას, არამედ სამომავლოდ დარღვევათა აცილების, შეცდომათა რაოდენობის შემცირების პროცესს, რადგან დადგენილ იქნას ობიექტური ქეშმარიტება.

გამოკვეთილ იქნა, არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჩატარებით ეროვნულ დონეზე არსებული სისტემა შედარდა საერთაშორისო დონეზე ცნობილ მოდელებს, გამოიკვეთა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისა და გამოცდილების ფონზე შინაპატიმრობის გამოყენების თავისებურებები.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, (2016), „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თბილისი.
2. ბენიძე ვ., (2003), „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების თავისებურებანი“, (დის.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
3. ვარძელაშვილი ი., (2020), „სასჯელის დანიშნის ზოგიერთი საკითხი (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“, თბილისი.
4. ხერხეულიძე ი., (2014), „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის ანალიზი)“, მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი.
5. ტურავა პ., (2020), „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, თბილისი.
6. პრადელი ჟ., (1999), „შედარებითი სისხლის სამართალი“, თბილისი.
7. მჭედლიშვილი-ჰერიხი ქ., (2017), „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი.
8. ცხადაძე ქ., (2016), „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის“ სამეცნიერო – პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Schmidt A., (1998), „Electronic monitoring: What does the literature tell us?“ Federal Probation, 62(2).
2. Josine Junger-Tas., (1994), „Alternatives to prison sentences, experiences and developments“, Copyright 1994 Kugler Publications – Amsterdam / NeW York.
3. Dodgson K., Mortimer E., (2000), „Home detention curfew _ The First Year Of Operation“, Research Findings.
4. Tobiasova L., (2007), „Development And Construction of the European Legal System, Alternative Penalties“, Bratislava.
5. Макалинский.П.В. ,(1907), „ Практическое руководство для судебных следователей“, Изд-во б-е, СПб.
6. Люблинский П.И., (1906),„Свобода личности в уголовном процессе“, СПб.
7. Ибрагимов Т., (2017), „ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ ДОМАШНЕГО АРЕСТА КАК МЕРЫ ПРЕСЕЧЕНИЯ В РОССИИ“, Новосибирск.
8. Kubik., (2001),„Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel“, Berlin.
9. Mayer M., (2004), „Modellprojekt elektronische Fußfessel“, Freiburg im Breisgau.
10. Önel.,(2012)Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
5. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
6. საქართველოს პატიმრობის კოდექსი.
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.
8. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანება.

რეკომენდაციები:

1. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში, 2022, თბილისი.

ინტერნეტსაიტები (ვებ-გვერდების მისამართები):

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=253>
2. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3957873?publication=0>
4. <http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm>
5. <https://ka.warbletoncouncil.org/aportaciones-galileo-galilei-17>
6. http://www.slate.com/articles/news_and_politics/explainer/2009/01/youre_grounded.html
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=253>

8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0>
9. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=43>
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=39>
11. <http://sps.gov.ge/ka/public-information/2/>
12. <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=253>

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის Nბს-283(კ-23) განჩინება.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 სექტემბრის Nფ3ბ/295-19 გადაწყვეტილება.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის განაჩენი, საქმე Nფ1ა/გ-27-17.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 04 იანვრის განაჩენი, საქმე Nფ1ა/გ-04-20.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 04 მარტის N3/7692-21 გადაწყვეტილება.
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 29 აპრილის N3/3207-21 გადაწყვეტილება.
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის N/8099-21 გადაწყვეტილება.
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 დეკემბრის N3/4313-20 გადაწყვეტილება.

THE ORGANIZATIONAL STRUCTURE OF THE ENFORCEMENT SYSTEM IN GEORGIA

(In terms of a mixed system of enforcement and protection of basic rights of persons participating in the enforcement proceedings)

Tamar Khujadze

*Doctoral Candidate of Law, Assistant in direction of the public law, New Vision University,
Enforcement officer at the National Bureau of Enforcement*

Mariam Khujadze

*Master of Law,
Chief Specialist, Public Service Hall,
Instructor at the Public Service Hall*

ABSTRACT

Timely and efficient enforcement of court decisions is the most important process for any legal state since the power of the law lies in its enforcement. The effectiveness of the enforcement process may have a significant impact on the development of the socio-economic situation of the country, as well as positively affect the level of public confidence in the court.

The effectiveness of the enforcement process largely depends on a well-functioning enforcement system; therefore, it must have maximum independence, and flexibility and, at the same time, be focused on the protection of basic human rights and freedoms.

Its organizational arrangement and the levers of enforcement implementation, the rights and duties of the persons participating in the enforcement

proceedings, as well as the scope of authority of the bailiff as an enforcement entity in the process of enforcement proceedings are important, along with this, the existence of the private bailiff institution in Georgian enforcement law is of the utmost importance.

Based on the foregoing, the article reviews the development of the enforcement system in Georgia, the structure of the National Bureau of Enforcement and its powers and the peculiarities of the work of a private bailiff. The importance of the principle of protection of balance and proportionality between the persons participating in the enforcement proceedings is also reviewed and the author's vision regarding each issue is presented to eliminate the gaps in practice.

KEYWORDS: Structure, Enforcement, System, Protection

INTRODUCTION

The enforcement of valid court decisions is an act of exercising supreme authority in a modern, legal state. Accordingly, the enforcement system in the country should be efficient and independent as much as possible and, most importantly, there should always be a red line on the protection of basic human rights and freedoms.

The power of the law lies in its enforcement: The right to request the enforcement of a legally binding decision is equal to the right of a person to apply to the court to protect his/her rights and freedoms. The level of public confidence in the courts is of great importance in a legal state, which obviously cannot be achieved if the decisions made by the court are not implemented quickly and flexibly.¹

As in other European countries, sharing the practice of the European Court of Human Rights by national courts, analyzing precedential decisions and integrating national law with European law is also of particular importance in Georgia. The European Court of Human Rights has repeatedly discussed the importance of effective enforcement of decisions. In one precedent case (*Hornsby v Greece*), the Court explained that “the enforcement of any decision made by a court shall be regarded as an integral part of

the “judicial process”.² As for the enforcement process itself, it must be transparent, and several basic principles must be respected so that no party's interests are harmed and/or vice versa: no one is given an unjustified advantage. In another high-profile case “*IZA LTD and Makrakhidze v. Georgia*” the assessment of the Strasbourg Court was as follows: – “In connection with the fact, that the state failed to ensure the enforcement of the binding decision within four years, there was a violation of the right under Article 6 of the European Convention on Human Rights”.³ The Court reiterates that the right to a fair trial includes the right to enforce a final judgment. This right would be unrealistic if the national legal system of the High Contracting Party made it possible for a final judgment in force to remain void to the detriment of one party.⁴

One of the most important decisions in this regard was also *Kyrtatos v. Greece* – The applicants won a case concerning local planning decisions affecting their property. The local government authorities avoided the execution of the court decision for more than seven years, thus they effectively lost the meaning of Article 6 of the European Convention on Human Rights. Any

1 “Executive Law” Winfried Suske.

2 *Hornsby v Greece* (EGtHR March 19, 1997).

3 Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome, November 4, 1950.

4 “*IZA*” LTD and Makrakhidze v. Georgia.

complaint related to the delay in the execution of a legally binding judgment is considered by the Strasbourg Court not in the context of “justice” but about the “right to a judicial review”, and to determine whether the essence of the right has been violated by the non-enforcement of the court decision, such criteria as the complexity of the case, specific circumstances, behaviour of the parties, etc. are taken into account.

Based on its practice, the European Court of Human Rights constantly emphasizes that the principle of the rule of law can be implemented only if effective enforcement of the decisions made by the court and other competent bodies is guaranteed.

The execution of decisions should ensure the restoration and protection of the rights of entities participating in legal processes, as well as the gradual development of legal, economic and other types of relations between states both at the internal state and international levels. In connection with the fact that “Compulsory execution” in itself implies the use of force and interference with the basic rights of a person (a party to enforcement proceedings and/or a third party) – it is necessary that the existing enforcement system in the country makes it possible to protect the interests of the parties proportionately during enforcement processes.⁵

In one of the precedent decisions, *Apostol v. Georgia*, which referred to the meaning of enforcement, the European Court of Human Rights explained: “The jurisdiction of the court is not merely a theoretical right to have its final decision recognized, but this right also implies the enforcement of the final decision”.⁶

Enforcement proceedings are organized differently in all states, which is due to the legal traditions and system of each country, however, in any case, the national legislation must be consistent with the main international standards or principles established in the field of

enforcement. In connection with the fact that the enforcement process has a great role in the economic, social and many other aspects of the development of the country, the state needs to share the best and most sophisticated practices of the enforcement system of foreign countries. The system should be focused on the protection of human rights as much as possible, regardless of which side of the proceedings a person represents: a creditor, a debtor or a third party.

Based on the foregoing, this article aims to review the existing enforcement system in the country, the main enforcement institutions and the basic principles that should be present as a red line in the entire process of enforcement proceedings. The protection of the proportionality principle is especially important, which means that the interests of any of the parties participating in the enforcement proceedings will not be harmed, and/or any of them will not be given an unjustified advantage.

1. DEVELOPMENT OF THE ENFORCEMENT SYSTEM IN GEORGIA

Throughout the centuries as in the legal systems of other countries of the world, in Georgia too, proper importance was not given to the execution of legally binding decisions and other acts made by the court and other authorized bodies, however, in recent years, the mentioned approach has changed radically, and as of today, the execution of decisions has already taken one of the important places among legal processes. “Along with setting the XXI century, the economy is in decline and when the economy is going through hard times, clients need more than ever to collect debt and enforce judgments to keep their businesses viable”.⁷

Justice in Georgia is implemented by the judicial authority – it issues a decision on behalf of the country. The issuance of the said decision

5 “Overview of Georgia’s Law Enforcement System (Georgian Law Enforcement System in National and International Context)”, Jos Uitdehaag et al.

6 *Apostol v. Georgia*, 3 №40765/02, November 28, 2006.

7 Brown J., 2009. *Judgment Enforcement* James. Law and Business, Aspen Publishers Walters Kluwer, third edition, preface.

itself implies the mandatory nature of its execution. The right to a “Fair Trial” includes, not only the right to apply to the court and decide the case impartially but also the right to its proper execution. Non-enforcement of the court decision is equal to a violation of the right to appeal to the court.

A brief historical excursus of the development of the enforcement system in Georgia is as follows: Even in ancient, there were various enforcement mechanisms of court decisions in Georgian law which represented a guarantee of the protection of the rights of the parties involved in the proceedings.⁸

In the last century, the first signs of the formation of the enforcement system in the country are related to the period when the new civil code was enacted, as a result of which the enforcement service was created in the Ministry of Justice. The abovementioned service had a formal character and obviously, the scope of independence that this service had as a legal entity was also formal. In such conditions, it was certainly unnecessary to talk about the flexibility and efficiency of the system.⁹

Since 2001, the Enforcement Service has been transformed into the Enforcement Department, and several significant changes have been made in the field of enforcement, both in terms of legislative and structural arrangements. The abovementioned process had rather a short-term duration and did not have the same successful development as the beginning, however, despite this, it was the first and quite successful attempt to develop the Georgian enforcement system. After the creation of the enforcement department, several years were an age of absolute immobility for the enforcement system. Neither legislative nor organizational changes were made.¹⁰

Finally, in 2008, the department under the governance of the Ministry of Justice was estab-

lished as a legal entity under public law – the National Bureau of Enforcement and is still operating in this form.

2. ENFORCEMENT SYSTEM AND LEGISLATION OF GEORGIA

As stated above, in Georgia, the main normative act in the field of enforcement is the Law of Georgia On Enforcement Proceedings.¹¹ However, because enforcement proceedings are a complex institution that combines the norms of civil, civil procedural, administrative, tax and other branches of law, accordingly, enforcement legislation will obviously not be limited only by the Law of Georgia “On Enforcement Proceedings”. The abovementioned law has been in force since 1999 and it regulates the relations regarding the compulsory execution of the acts adopted by the court and other bodies. Apart from establishing the rights and duties of the parties to the proceedings, the legal bases of the executive’s activities, the procedure for appointing and dismissing him/her, rights and duties, guarantees of social and legal protection, and others are also defined by the law.

3. NATIONAL BUREAU OF ENFORCEMENT

The Law of Georgia “On Enforcement Proceedings” determines that the LEPL National Bureau of Law Enforcement carries out the enforcement of decisions made by courts and other authorized bodies in Georgia, which represents a Legal Entity Under Public Law under the governance of the Ministry of Justice. The Ministry of Justice of Georgia monitors the activities of the National Enforcement Bureau. The regulation of the Bureau is approved by the Minister of Justice. The appointment/dismissal of the chairman of the National Bureau of Enforcement is also within the competencies of the Minister of Justice.¹²

8 Metreveli V., History of Georgian Law.

9 Todua, Sh., 2013, The need for enforcement law as an autonomous direction of national jurisprudence, Magazine “Justice”.

10 Todua, Sh., 2013, The need for enforcement law as an autonomous direction of national jurisprudence, Magazine “Justice”.

11 The Law of Georgia on Enforcement Proceedings.

12 Article 4th of the Law of Georgia “On Enforcement Proceedings”.

The National Bureau of Enforcement carries out its activities through structural units and territorial bodies – enforcement bureaus, which are located throughout the territory of Georgia according to regions. The Enforcement Bureau in each region is chaired by the head of the Bureau, who is appointed and dismissed by the chairman of the national enforcement bureau in agreement with the Minister of Justice.

Enforcement bureaus carry out their activities throughout the territory of the country in accordance with the Law of Georgia “On Enforcement Proceedings”, other normative acts and internal regulations.

In addition, the National Bureau of Enforcement includes the following structural units:

- Insolvency Case Management Office
- Enforcement Police
- Legal Office
- Economics Office
- International Relations and Project Management Office
- Proceedings Office
- Internal Controls and Auditing Office
- Assessment Office
- Parties Interest Protection and Mediation Office
- Logistics Office;
- Simplified Case Management Department
- Human Resource Development and Management Office.¹³

4. INSTITUTE OF PRIVATE BAILIFF IN THE ENFORCEMENT SYSTEM OF GEORGIA

According to the legislation, the authority to carry out compulsory enforcement actions is also granted to a private bailiff, in addition to the National Bureau of Enforcement in Georgia, who carries out enforcement activities based on the license

issued by the National Bureau of Enforcement. The institution of the private bailiff was introduced into the Georgian enforcement legislation based on the recommendations issued by the European Union and their technical and material support.¹⁴ However, because the said institution was completely alien to the Georgian reality, it was expected from the beginning that many flaws and shortcomings would appear in the process of its implementation. Exactly such a grounded assumption conditioned it, that to avoid expected errors, the competence of private bailiff was somewhat limited and several issues were defined, to the implementation of which private bailiff would not have access and the mentioned issues would remain only in the exclusive competence of the legal entity under public law – the National Enforcement Bureau.¹⁵

It should be noted that, unlike a public bailiff, a private bailiff does not have the right to perform all actions provided for by the Georgian legislation “On Enforcement Proceedings” and to accept all categories of proceedings.¹⁶ It is this that raises the main question mark regarding how the given fact can be evaluated: Does the mentioned circumstance represent the advantage of the private bailiff and the possibility for him/her to receive additional benefits from a material point of view. It is ambiguous, which sector is in an advantageous position and from what point of view, an unequivocal approach has not been established in this regard, and arguments continue to be actively contested to this day.

A private bailiff is a natural person of a free profession, performing public authority-enforcement activities based on the legislation, and is considered an entrepreneur in matters of taxation. He/she performs his/her authority unlimitedly on the entire territory of Georgia, just like the National Bureau of Enforcement.¹⁷

13 Order of the Minister of Justice of Georgia N24, “On approval of the regulation of the National Enforcement Bureau of the Legal Entity under Public Law operating under the governance of the Ministry of Justice of Georgia” May 6, 2014.

14 Manual of enforcement law trainers, I. Utdehaag and others, Tbilisi 2020.

15 Comment on the Law of Georgia “On Enforcement Proceedings”; Kurdadze Sh. and others.

16 Law of Georgia “On Enforcement Proceedings”, Article 14(7).

17 Order of the Minister of Justice of Georgia N88 on determining the conditions and form of enforcement proceedings by a private bailiff.

Since its introduction, the institution of private bailiff has been very effective: Statistics revealed, that appeal by such large creditors, such as the largest financial institutions operating in Georgia, was quite high. However, despite all this, the state gradually began to impose several practical and legal barriers to the institution of a private bailiff, for example, as a result of legislative changes implemented in 2010, private bailiffs were prohibited from accepting cases of the category where the demand exceeded 500,000 GEL and many others. The abovementioned type of restrictions did not apply to public officials, and they could conduct any category of business without any restrictions.

As a result of analyzing the examples given above, it seems at first glance that the private bailiff is “less privileged” compared to the public one, since the legislator imposes different legal and practical barriers on him/her, restricts the authority to perform certain actions, however, a question arises: Which bailiff is in an advantageous position? To what degree can the “restrictions” imposed by the legislator on the private bailiff be considered a barrier? Based on the practice, it can be said, that the private bailiff has limited authority to execute those categories of cases, the proceedings of which are characterized by special difficulty (for example, alimony and eviction category cases), and those cases, which the private bailiff has the right to perform, can bring more benefits from a material point of view, than, for example, the category, which is conventionally represented: administrative fine, case of alimony category and others.

Another important factor is that, unlike the public bailiff, the private bailiff has the opportunity to decide for himself/herself even from the categories of cases listed above, in a specific case, based on the creditor’s appeal, which case he/she will accept in the proceedings and which one he/she will not, while the public bailiff, who works in the National Bureau of Enforcement, is completely deprived of this opportunity, and any category of case is automatically assigned to him/her. The public bailiff does not have the opportunity to choose which category of cases he/

she will accept for execution in the proceedings and which he/she will refuse (except for the exceptions provided by law).

As for the number of cases, neither the law nor the regulations of the Bureau determine the maximum number of cases that may be assigned to one bailiff. Accordingly, in practice, such a situation arises when one public bailiff employed by the National Bureau of Enforcement has several thousand cases pending, and the public bailiff is deprived of the opportunity to request a reduction in the number of cases assigned to him/her.

Based on the abovementioned circumstances, to improve the enforcement system and refine the legislation, in 2013, the EU representative office implemented a project: DEEP-Development of Enforcement Legislation Project in Georgia. Experts invited by the European Union took part in the abovementioned project, with whose active involvement, recommendations were developed and several measures were taken to reflect the abovementioned recommendations in legislative acts and put them into practice. The main essence and purpose of the abovementioned recommendations was the maximal equalization of private and public bailiff institutions at the legislative level.

As already mentioned, the institution of the private bailiff was introduced to take into account the best practices of European countries, and the final goal was to completely reorganize the existing system in the country on the activities of private bailiffs. The overall, the existence of the abovementioned institution is primarily beneficial for the state: a stable and healthy business environment is created, competition is stimulated as much as possible, service quality increases and prices decrease. All this ultimately creates such a situation, that the state is significantly exempted from expenses and all favourable conditions for economic growth are present. All this is based on the basic principle that the state should not provide the services that the private sector can provide.

5. THE INSTITUTE OF THE REGISTER OF DEBTORS AS AN INNOVATION IN GEORGIAN ENFORCEMENT LEGISLATION

Another important and the most recent institution provided by the Law of Georgia “On Enforcement Proceedings” is the Register of Debtors. The aforementioned institution “On Enforcement Proceedings” was reflected in the Law of Georgia on July 15, 2008 and began to operate in 2010. One of the reasons for the introduction of this institution was to bring the enforcement system in the country even closer to international standards. From that period to the present day, the institute has undergone numerous changes, the procedure for its production is approved by the Minister of Justice, and the register of debtors is maintained by the National Liaison Enforcement Bureau.¹⁸

The main essence and purpose of the production of the register of debtors by the National Bureau of Enforcement is to increase the efficiency of enforcement and to avoid the risks that accompany the aforementioned relations. In particular, this institution creates additional guarantees for the creditor that the debtor cannot avoid the obligations imposed on him/her during the compulsory enforcement proceedings.¹⁹

It is important that the data of the register of debtors is public, i.e. any person has the opportunity to receive information about the entities registered in the register. Unlike, for example, the German enforcement system, which does not make public the data of the register of debtors, but only provides information if the interested person indicates the purpose of receiving the information with appropriate justification, there is no such thing in the Georgian enforcement system. Absolutely any person can identify the persons registered in the Register of Debtors without limitation and determine by whom the registration of a person was carried out in the unified

database of the Register of Debtors. It should be noted that the publicity of the register is also one of the drawbacks and this issue should be regulated differently by the legislation.

A person registered in the register of debtors is limited to one of the basic rights provided by the constitution: the property right. The restriction of the abovementioned right is provided for in the Constitution of Georgia only in the presence of the following conditions:²⁰

- Restrictions are allowed for essential public needs and “Common Welfare”;
- The restriction shall be implemented based on the law and in the manner determined by the same law.

It is necessary to observe the principle of proportionality, and this principle includes the following:

- Legitimacy of the legislator’s goal;
- Effectiveness of the means to achieve the goal. If there is a less painful way to achieve the goal, then there is no need to restrict ownership.²¹

Notwithstanding the foregoing, it can be safely said that the institution of the Register of Debtors is a step forward for the Georgian enforcement system.

6. BASIC PRINCIPLES OF ENFORCEMENT PROCEEDINGS

6.1. Protection of Legality, Transparency and Proportionality during the Enforcement Proceedings

It should be noted that the Georgian enforcement legislation does not pay much attention to the principles that should be drawn as a red line in the course of enforcement proceedings – from

18 Order of the Minister of Justice of Georgia N234 “On the approval of the procedure for the production of the register of debtors”.

19 Buadze K., 2011, Register of debtors in Georgian and German law (comparative legal analysis); Master thesis.

20 Papuashvili S., 2009, Legal basis of restriction of property rights, according to the European Convention on Human Rights and Georgian legislation, collection of articles “Modern Challenges of Human Rights Protection”.

21 Komakhidze, Ts., 2017, Legal basis for restriction of property rights according to the Constitution of Georgia and the practice of the Constitutional Court (Justice and Law #2(54)17.

the moment of the start of enforcement. However, the legislator indicates, for example, the need to protect the general principles and norms of morality in the case that, enforcement actions are initiated against the debtor, However, due to special circumstances on the site (e.g. illness, death of a debtor's family member, or other emergency), the National Enforcement Bureau can postpone the enforcement measure for no more than 6 months. In addition, although the law does not provide a direct reference to the abovementioned, the principle of proportionality between the parties must be respected during the enforcement proceedings.

Equal protection of the interests of the parties to enforcement proceedings is superficially discussed in the law of Georgia "On Enforcement Proceedings". The Supreme Court of Georgia indicates in one of its decisions that: "The legislator granted the third party the right to demand compensation from the debtor, due to whose obligation his/her property was alienated". It should be noted that the legislator did not associate the alienation of the third party's property with the annulment of the results of the enforcement proceedings, even though it is clear that the interests of the third party were harmed by such an action. The city court explained that through such a record of the law, the legislator took into account the interests of the person who won the auction as a conscientious buyer and the creditor as a person interested in the compulsory enforcement of the claim existing in his/her favour and considered that their interests should be given priority over the interests of the third party, whose right to the realized property was established only after the realization of the property. Besides, the city court explained that „such an interpretation of the norm did not mean that the interests of third parties were not protected in such a case, although the Law of Georgia "On Enforcement Proceedings" defined a specific way for the third party to protect his/her interests, such as a demand for damages from the debtor, which, in turn, precluded the protection of his/her interests by invalidating the already held auction and returning the alienated property to a third party".²² On the other hand, the

22 See Decision No. BS-10(K-20) of the Administrative

importance of the principle of proportionality and the need to take it into account at any stage of the enforcement proceedings are emphasized in the European Convention on Human Rights.

There are different approaches regarding proportionality as a guiding principle and its importance in enforcement proceedings, the fact remains, however, that the observance of the abovementioned principle has an essential influence on the proper functioning of the enforcement system. Enforcement proceedings are organized differently in all countries, which is determined by the different legal traditions and systems of each country.

European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) – Having determined the enforcement of court decisions as one of its priorities, published guidelines for a better implementation of the recommendations of the European Council related to enforcement. On December 17, 2009, CEPEJ developed certain directives to effectively implement the recommendations of the European Council in the field of enforcement.²³

The enforcement system cannot be perfect, there are always drawbacks in some aspects. However, the abovementioned recommendations are based on such basic principles in enforcement proceedings as transparency, efficiency and perceptibility.

European Commission for the Efficiency of Justice determined the basic principles that shall be followed for a flexible and transparent enforcement system.

The guiding principles defined by the **CEPEJ 2009 Guidelines** are as follows: fairness and transparency of the enforcement process; Determining the capabilities of the debtor – to perform the court decision; maximum efficiency of the enforcement process; flexibility of enforcement process; The role and involvement of the bailiff in the process of enforcement proceedings; high degree of bailiff autonomy; clearly defining the

Affairs Chamber of the Supreme Court of Georgia of July 9, 2020.

23 CEPEJ (2009) 11 Guidelines for a better implementation of the existing Council of Europe's Recommendation on Enforcement, European Commission on the Efficiency of Justice (CEPEJ).

competence of the bailiff by national legislation; Protection of the balance between the creditor and debtor parties during the enforcement proceedings and others.

6.2. The Scope of the Bailiff's Authority and Interference in Communication between the Parties during the Implementation of Compulsory Enforcement Actions.

In enforcement proceedings, the bailiff is the central figure, since the legislator assigns to him/her the right and duty to execute the acts issued by the court and other bodies.

There are different approaches to the status of the bailiff in different countries. For example, in several countries (Germany, Sweden, Denmark), bailiffs act as civil servants and their authorities are quite narrow, the organizational structure in this case is quite hierarchical and bureaucratic.

In Georgia, the rights and duties of the bailiff are precisely defined by the Law of Georgia "On Enforcement Proceedings", although in some cases he/she still has some discretion when making decisions. Therefore, when carrying out any action, the bailiff is obliged to maintain impartiality as much as possible and equally protect the interests of both the debtor and the creditor party and third parties participating in the proceedings.

7. PARTIES IN ENFORCEMENT PROCEEDINGS

7.1. Creditor and Debtor as the Main Entities Participating in Enforcement Proceedings

The relations between the parties to the proceedings: the creditor and the debtor are mainly regulated by the Georgian Enforcement legislation.²⁴ It is important to highlight the fact, that

²⁴ Tchkonია, Z. 2012 "Entities of Enforcement proceedings", "Justice and Law", N:1 (32)12).

the interests of any party shall not be harmed excessively, i.e. the principle of proportionality between the parties shall be protected as much as possible, especially in the conditions when a number of rights of the debtor are limited by the implementation of compulsory enforcement actions, including the main one: the property right. From the moment of the initiation of enforcement proceedings, the immovable and movable property registered in the name of the debtor is searched, the said property is seized, and in case of non-fulfilment of the obligation by the debtor, any property registered in his/her name is sold by auction. Under these conditions, interference with the debtor's property right and its restriction shall be proportional and proportionate to the creditor's request. In addition, there is a special burden on the limited use of personal data in the course of compulsory enforcement proceedings. Since, as we all know, the personal information and data of the parties are actively being processed during the proceedings, therefore, the personal data of the parties shall only be obtained and processed if there is a clear official need.²⁵

7.2. Third parties and the scope of their involvement in enforcement proceedings

In addition to the creditor and debtor parties, third parties also participate in the enforcement proceedings. The right of the bailiff to seize any movable property that turns out to be at the debtor's address specified in the enforcement sheet during the visit is provided for in the Georgian enforcement legislation. However, it is possible that the said property does not necessarily belong to the debtor and represents the property of a completely foreign, third party. In the performance of official duty, the bailiff does not have the obligation to establish the fact of belonging to the person of the thing, on the contrary, the burden of proof is transferred to the owner of the thing. The above-mentioned provision of the law derives from the first part of Article 158 of the Civil Code of Georgia,

²⁵ Law of Georgia "On Protection of Personal Data".

which explains that: “The possessor of a thing shall be presumed to be its owner.”

In order not to harm the rights and legal interests of third parties, the legislator reserves to them the right to file a suit in court for the release of property from seizure.²⁶

7.3. State and administrative bodies as debtors – features of enforcement

The state participates in legal relations as well as any other person. Concerning the issue of state participation in enforcement proceedings: Enforcement proceedings can usually be directed against the state as well, although there are certain limitations in this case. The imposition of the abovementioned restrictions is due to the motive of not harming the interests of society and statehood, for example, not alienating such property that belongs to the category of common public property and/or has any cultural significance for the country.

As for the enforcement proceedings against the state related to the payment of money, unlike other subjects, the legislator defines a different term for the voluntary execution of the decision (If the debtor party is represented by a legal entity under public law, a one-month deadline is established for the voluntary execution of the decision),²⁷ The abovementioned term applies also in the case when the debtor is a budgetary organization.²⁸

CONCLUSION

In conclusion, Georgian enforcement law, compared to other branches of law, is still a new and developing area of law: In Georgia, as well as in any other democratic legal state, where it is important to ensure a high level of public confi-

dence in the court, enforcement is a fundamental element of the rule of law. As stated in the document, every country has a different enforcement system. The procedures of Enforcement proceedings are organized differently everywhere, determined by the national legislation and different legal traditions of each country. However, some important principles are common everywhere, which should be drawn as a red line throughout the entire process of enforcement proceedings, such as the principle of protection of balance and proportionality between the parties participating in the proceedings, the need to protect personal data during enforcement proceedings and others.

As a result of the analysis of the existing enforcement system and legislation in Georgia, given in this article, it is clear that the Georgian system is of a mixed nature, which implies the functioning of both public and private enforcement institutions, which is implemented more or less successfully in the country and contributes to the stimulation of a healthy, competitive environment.

As noted in the document, the introduction of the institution of the private bailiff in the Georgian enforcement legislation was indeed an innovation and another big step forward. The goal of the abovementioned innovation, just like in foreign countries, was to establish an effective system of enforcement in Georgia and most importantly: promote healthy competition between private and public sectors. All this, in turn, was the basis for the economic growth of the state and the establishment of a healthy business environment.

Since the country’s aspiration for the maximum transparency and efficiency of the legal (including enforcement) system is clear, the necessity of reforming the enforcement legislation is also evident. With this in mind, working on a new enforcement code began a few years ago in Georgia, which will fundamentally change the Georgian enforcement system. The draft of the abovementioned code includes many legislative changes and innovations, which ultimately serve to make the Georgian enforcement system and institutions more transparent and efficient, and the legislation as close as possible to the

26 Article 32nd, The Law of Georgia “On Enforcement Proceedings”.

27 Article 90³ Law of Georgia “On Enforcement Proceedings”.

28 Article 90⁴ Law of Georgia “On Enforcement Proceedings”.

international standards in this field. After introducing the enforcement code, a completely new enforcement system, different from the existing

one, will be introduced and the standards of this system will be modernized as much as possible.

BIBLIOGRAPHY:

1. Sources in Georgian: Constitution of Georgia, Civil Code of Georgia, Civil Procedure Code of Georgia, Administrative Code of Georgia, Administrative Procedure Code of Georgia.
2. Law of Georgia “On Enforcement Proceedings”.
3. Law of Georgia “On Protection of Personal Data”.
4. Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms.
5. Order of the Minister of Justice of Georgia N234 “On the approval of the procedure for the production of the register of debtors”.
6. Order of the Minister of Justice of Georgia N24, “On approval of the regulation of the National Enforcement Bureau of the Legal Entity under Public Law operating under the governance of the Ministry of Justice of Georgia” May 6, 2014.
7. The Georgian enforcement system in the national and international context, Jos Uytdehaag 2013.
8. Subjects of enforcement proceedings, Tchkonია Z., Justice and Law N1 (32), Tbilisi 2012.
9. Enforcement Law, Winfried Suske, 2011.
10. Comment on the Law of Georgia on Enforcement Proceedings, Sh. Kurdadze and others, Tbilisi, 2018.
11. Handbook for enforcement law trainers, I. Uytdehaag and others, Tbilisi 2020.
12. Buadze K., 2011 Register of debtors in Georgian and German law (comparative legal analysis); Master thesis.
13. Papuashvili S., 2009, Legal Basis of Limiting Property Rights.
14. A collection of articles “Modern Challenges of Human Rights Protection” according to according to the European Convention on Human Rights and Georgian legislation.
15. “Overview of Georgia’s Enforcement System (Georgian Enforcement System in National and International Context)” by Jos Uytdehaag and others.
16. “IZA” LTD and Makrakhidze v. Georgia.
17. Apostol v. Georgia.

Sources in English:

1. Brown j., 2009. Judgment Enforcement James. Law and Business, Aspen Publishers Walters Kluwer, third edition, preface Walters Kluwer, third edition, preface.
2. CEPEJ 2009 11 Guidelines for a better implementation of the existing Council of Europe’s Recommendation on Enforcement, European Commission on the efficiency of Justice (CEPEJ), CEPEJ 2009 11 REV
3. Uytdehaag A. Survey of enforcement in Europe, Tbilisi 2017.
4. Hornsby v Greece (EGtHR March 19, 1997).
5. Case of Kyrtatos v. Greece.

სააღსრულებო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა საქართველოში (აღსრულების შერეული სისტემისა და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა ძირითადი უფლებების დაცვის ჭრილში)

თამარი ხუჯაძე

*სამართლის დოქტორანტი, ნიუ-ვიუენ უნივერსიტეტი,
ასისტენტი საჯარო სამართლის მიმართულებით,
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელი*

მარიამი ხუჯაძე

*სამართლის მაგისტრი,
სსიპ იუსტიციის სახლის უფროსი სპეციალისტი,
სსიპ იუსტიციის სახლის ინსტრუქტორი*

აბსტრაქტი

სასამართლო გადაწყვეტილებების დროული და ეფექტიანი აღსრულება, ნემისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან კანონის ძალა მის აღსრულებაშია. აღსრულების პროცესის ეფექტიანობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე, ასევე, დადებითად იმოქმედოს საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის ხარისხზე.

აღსრულების პროცესის ეფექტიანობას დიდწილად განსაზღვრავს გამართული სააღსრულებო სისტემა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მას გააჩნდეს მაქსიმალური დამოუკიდებლობა, მოქნილობა და, ამასთანავე, ორიენტირებული იყოს ადამიანის

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. მნიშვნელოვანია მისი ორგანიზაციული მოწყობა და აღსრულების განხორციელების ბერკეტები, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები, ასევე აღმასრულებლის, როგორც აღსრულების განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო წარმოების პროცესში, ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის არსებობა ქართულ სააღსრულებო სამართალში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში მიმოხილულია სააღსრულებო სისტემის განვითარების გზა საქართველოში, აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურა და მისი უფლებამოსილებები, განხილულია კერძო აღმასრულებლის მუშაობის თავისებურებები, ასევე მიმოხილულია სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა შორის ბალანსისა და თანაბრობის დაცვის პრინციპის მნიშვნელობა და გადმოცემულია ავტორებისეული ხედვა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურა, აღსრულება, სისტემა, დაცვა

შესავალი

თანამედროვე, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება წარმოადგენს უზენაესი ხელისუფლების განხორციელების აქტს. შესაბამისად, სააღსრულებო სისტემა ქვეყანაში იმგვარად უნდა იქნეს რეგულირებული, რომ გააჩნდეს მაქსიმალური ეფექტიანობა, დამოუკიდებლობა და რაც მთავარია: წითელი ხაზი ყოველთვის უნდა გადიოდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

კანონის ძალა მის აღსრულებაშია: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნის უფლება უტოლდება პირის უფლებას-საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოების ნდობის ხარისხს სასამართლოსადმი, აღნიშნული კი, ცხადია, ვერ იქნება მიღწეული, თუკი არ განხორციელდება სასა-

მართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სწრაფი და მოქნილი აღსრულება¹.

ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაზიარებას, პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაანალიზებასა და ეროვნული სამართლის ინტეგრირებას ევროპულ სამართალთან. გადაწყვეტილებათა ეფექტური აღსრულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, არაერთხელ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ: ერთერთ პრეცედენტულ საქმეში (Hornsby v Greece) სასამართლომ განმარტა, რომ „ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი“². რაც შეეხება თავად აღსრულების პროცესს, ის უნდა იყოს გამჭვირვალე, დაცული უნდა იქნეს

1 „სააღსრულებო სამართალი“, ვინფრიდ შუშკე.

2 Hornsby v Greece (EGtHR March 19,1997).

მთელი რიგი ძირითადი პრინციპები, რათა ზიანი არ მიადგეს არცერთი მხარის ინტერესებს ან/და პირიქით: არავის მიენიჭოს გაუმართლებელი უპირატესობა. კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეში: „შპს IZA და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ – სტრასბურგის სასამართლოს შეფასება იყო შემდეგი: „გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფომ ვეი უზუნველყო სავადებურო ხასიათის გადაწყვეტილების აღსრულება 4 წლის განმავლობაში, ადგილი ქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაზღვევას,³ სასამართლო იმეოხებ, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება ახაჟელუხი იქნებოდა თუ მალადი ხელშეწყვეტილი მხარის ეხოვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ეხთი მხარის საზიანოდ ახაქმეღითი დაჩენიღიყო“.⁴

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამ კუთხით ასევე წარმოადგენდა: „კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ“⁵-განმცხადებლებმა მოიგეს საქმე, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი დაგეგმარების გადაწყვეტილებებს, რაც გავლენას ახდენდა მათ ქონებაზე. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები კი თავს არიდებდნენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რითაც მათ ფაქტობრივად აზრი დაუკარგეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. ნებისმიერ საჩივარს, რომელიც დაკავშირებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებასთან, სტრასბურგის სასამართლო განიხილავს არა „სამართლიანობის“ კონტექსტში, არამედ „სასამართლო განხილვის უფლებასთან“ მიმართებაში, ხოლო იმის დასადგენად, ხელყოფილ იქნა თუ არა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებ-

ლობით უფლების არსი, ხდება ძირითადად ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა საქმის სირთულე, კონკრეტული გარემოებები, მხარეთა ქცევა და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისი პრაქტიკით მუდმივად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გარანტირებული იქნება სასამართლოსა და სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულება.

როგორც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, საერთაშორისო ასპარეზზეც გადაწყვეტილებათა აღსრულება უნდა იძლეოდეს სამართლებრივ პროცესებში მონაწილე სუბიექტების უფლებათა აღდგენისა და დაცვის, ასევე, სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების ჯეროვანი განვითარების გარანტიას. გამომდინარე იქიდან, რომ „იძულებითი აღსრულება“ თავისთავად გულისხმობს ძალის გამოყენებას და პირის (სააღსრულებო წარმოების მხარის ან/და მესამე პირის) ძირითად უფლებებში ჩარევას – აუცილებელია ქვეყანაში არსებული სააღსრულებო სისტემა მაქსიმალურად შესაძლებელს ხდიდეს სააღსრულებო პროცესების მიმდინარეობისას მხარეთა ინტერესების თანაზომიერ დაცვას.⁶

ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში – „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც შეეხებოდა აღსრულების მნიშვნელობას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „სასამართლოს უფლებამოსილება არ არის უბრალოდ თეორიული უფლება, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილება იყოს აღიარებული, არამედ ეს უფლება, ასევე, გულისხმობს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.“⁷

სააღსრულებო წარმოების პროცედურები ყველა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად არის მოწესრიგებული, რაც განპირობებულია

3 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 04 ნოემბერი, 1950 წ.
 4 შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ /„IZA“ LTD and Makrakhidze v. Georgia.
 5 Case of Kyrtatos v. Greece

6 „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა (ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში)“ იოს უითდეჰააგი და სხვები.
 7 აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia)3 №40765/02, 28 ნოემბერი, 2006 წ.

თითოეული ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებით და სისტემით, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია, ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში იყოს იმ ძირითად საერთაშორისო სტანდარტებსა თუ პრინციპებთან, რომლებიც დამკვიდრებულია აღსრულების სფეროში. გამომდინარე იქიდან, რომ აღსრულების პროცესს აქვს უდიდესი როლი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და სხვა მრავალი კუთხით განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ გაზიარებულ იქნეს უცხო ქვეყნების სააღსრულებო სისტემის საუკეთესო და დახვეწილი პრაქტიკა. სისტემა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული ადამიანის უფლებათა დაცვაზე განურჩევლად იმისა, თუ წარმოების რომელ მხარეს წარმოადგენს პიროვნება: კრედიტორს, მოვალეს თუ მესამე პირს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სააღსრულებო სისტემის, ძირითადი სააღსრულებო ინსტიტუტებისა და იმ ძირითადი პრინციპების მიმოხილვა, რომელიც წითელ ხაზად უნდა გასდევდეს სააღსრულებო სამართალწარმოების მთელ პროცესს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი არის თანაბრობის პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს იმას, რომ ზიანი არ მიადგეს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე რომელიმე მხარის ინტერესებს, ან/და არ მიენიჭოს რომელიმე მათგანს გაუმართლებელი უპირატესობა. ამასთან, სტატიის მიზანია აღნიშნული მიზნის მიღწევის ავტორებისეული გზების/რეკომენდაციების განსაზღვრა.

1. სააღსრულებო სისტემის განვითარება საქართველოში

1.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საუკუნეთა განმავლობაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში, საქართველოშიც არ ენიჭებოდა სათანადო მნიშვნელობა სასამართლოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ

მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებისა და სხვა აქტების აღსრულებას, თუმცა, ბოლო წლებში აღნიშნული მიდგომა რადიკალურად შეიცვალა და დღეის მდგომარეობით, გადაწყვეტილებათა აღსრულებამ უკვე ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამართლებრივ პროცესებს შორის. „XXI საუკუნის დადგომასთან ერთად, ეკონომიკა დაცემას განიცდის და ხოდესაც ეკონომიკა მძიმე დღეშია, კლიენტებს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სჭიხდებათ ვადის ამოღება და გადაწყვეტილების აღსრულება, ხათა მათი ბიზნესი სიცოცხლისუნაჩიანი იყოს“.⁸

მართლმსაჯულებას საქართველოში ახორციელებს რა სასამართლო ხელისუფლება – გამოაქვს გადაწყვეტილება ქვეყნის სახელით. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანა კი თავისთავად გულისხმობს მისი აღსრულების სავალდებულო ხასიათსაც. „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის, არამედ მისი სათანადოდ აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხელყოფას.

საქართველოში, სააღსრულებო სისტემის განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი ასეთია: ჯერ კიდევ ძველ ქართულ სამართალში არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სხვადასხვა მექანიზმები, რაც წარმოადგენდა წარმოებაში მონაწილე მხარეების უფლებათა დაცვის გარანტს.⁹

გასულ საუკუნეში, ქვეყანაში სააღსრულებო სისტემის ჩამოყალიბების პირველი ნიშნები უკავშირდება ჯერ კიდევ იმ პერიოდს, როდესაც ამოქმედდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რის შედეგადაც იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სააღსრულებო სამსახური. აღნიშნულ სამსახურს ჰქონდა აბსოლუტურად ფორმალური ხასიათი და ცხადია, ფორმალურობას ვერ აცდებოდა ვერც დამოუკიდებლობის ის ფარგლები, რომლებიც გა-

8 Brown j., 2009. Judgment Enforcement James. Law and Business, Aspen Publishers Walters Kluwer, third edition, preface.

9 მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია.

აჩნდა ამ სამსახურს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ასეთ პირობებში კი, რა თქმა უნდა ზედმეტი იყო საუბარი სისტემის მოქნილობასა და ეფექტიანობაზე.¹⁰

2001 წლიდან, სააღსრულებო სამსახური გადაკეთდა სააღსრულებო დეპარტამენტად და განხორციელდა რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება აღსრულების სფეროში, როგორც საკანონმდებლო, ისე სტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი იყო საკმაოდ ხანმოკლე და არ ჰქონია ისეთივე წარმატებული განვითარება, როგორც დასაწყისი, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს იყო ქართული სააღსრულებო სისტემის განვითარების პირველი და საკმაოდ წარმატებული მცდელობა სააღსრულებო დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რამდენიმე წელი სააღსრულებო სისტემისათვის იყო აბსოლუტური უძრაობის ხანა. არ განხორციელებულა არცერთი ცვლილება არც საკანონმდებლო და არც ორგანიზაციული კუთხით.¹¹

საბოლოოდ, 2008 წელს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი დეპარტამენტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად-აღსრულების ეროვნულ ბიუროდ და დღემდე ამ სახითა და ფორმით ახორციელებს საქმიანობას.

2. ქართული სააღსრულებო სისტემა და კანონმდებლობა

2.1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში, აღსრულების სფეროში ძირითად ნორმატიულ აქტს წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი¹². თუმცა,

10 თოდუა შ., 2013, სააღსრულებო სამართლის, როგორც ეროვნული სამართალმცნეიერების ავტონომიური მიმართულების საჭიროება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“.

11 თოდუა შ., 2013, სააღსრულებო სამართლის, როგორც ეროვნული სამართალმცნეიერების ავტონომიური მიმართულების საჭიროება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“.

12 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონი.

გამომდინარე იქიდან, რომ სააღსრულებო წარმოება არის კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო, სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციულ, საგადასახადო და სამართლის სხვა დარგების ნორმებს, შესაბამისად, სააღსრულებო კანონმდებლობა, ცხადია, არ ამოიწურება მხოლოდ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონი ძალაშია 1999 წლიდან და იგი არეგულირებს სასამართლო და სხვა ორგანოების მიერ მიღებული აქტების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. გარდა წარმოების მხარეების უფლება-მოვალეობების დადგენისა, კანონით განსაზღვრულია ასევე აღმასრულებლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებიც, მისი თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, უფლება-მოვალეობები, სოციალურ-სამართლებრივი დაცვის გარანტიები და სხვა.

3. აღსრულების ეროვნული ბიურო

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ საქართველოში სასამართლოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას ახორციელებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ბიუროს დებულებას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. ამ უკანასკნელის კომპეტენციას განეკუთვნება, ასევე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა/ გათავისუფლება.¹³

აღსრულების ეროვნული ბიურო საქმიანობას ახორციელებს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანო-

13 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

ების-სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე-რეგიონების მიხედვით. თითოეულ რეგიონში არსებულ სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

სააღსრულებო ბიუროები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქმიანობას ახორციელებენ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და შიდა დებულებების შესაბამისად.

ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიურო მოიცავს სტრუქტურულ დანაყოფებსაც:

- გადახდისუნარობის საქმისწარმოების დეპარტამენტი
- აღსრულების პოლიციის სამმართველო
- იურიდიული დეპარტამენტი
- ეკონომიკური დეპარტამენტი
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი
- საქმისწარმოების დეპარტამენტი
- შიდა კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტი
- შეფასების დეპარტამენტი
- მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის დეპარტამენტი
- ლოჯისტიკის დეპარტამენტი
- გამარტივებული საქმისწარმოების დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი.¹⁴

4. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი ქართულ სააღსრულებო სისტემაში

კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ საქართველოში აღსრულების ეროვნული ბი-

უროს გარდა, კანონით გათვალისწინებული იძულებითი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება კერძო აღმასრულებელსაც, რომელიც სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი ქართულ სააღსრულებო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა ევროკავშირის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და მათი, როგორც ტექნიკური, ასევე, მატერიალური მხარდაჭერით.¹⁵ თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ინსტიტუტი სრულიად უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის, თავიდანვე იყო მოსალოდნელი, რომ მისი დანერგვის პროცესში ბევრი ხარვეზი და ნაკლოვანება იჩენდა თავს. სწორედ ამ საფუძველიანმა ვარაუდმა განაპირობა ის, რომ მოსალოდნელი ხარვეზების თავიდან არიდების მიზნით, კერძო აღმასრულებლებს გარკვეულწილად შეეზღუდათ კომპეტენცია და განისაზღვრა მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა განხორციელებაზე წვდომა კერძო აღმასრულებლებს არ ექნებოდათ და აღნიშნული საკითხები დარჩებოდა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აღსრულების ეროვნული ბიუროს ექსკლუზიურ კომპეტენციაში.¹⁶

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საჯარო აღმასრულებლისაგან, კერძო აღმასრულებელს არ გააჩნია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედების განხორციელებისა და ყველა კატეგორიის საქმის წარმოებაში მიღების უფლება.¹⁷ სწორედ ეს აჩენს ძირითად კითხვის ნიშანს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება იქნეს შეფასებული მოცემული ფაქტი: წარმოადგენს თუ არა აღნიშნული გარემოება კერძო აღმასრულებლის

14 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N24, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ 06 მაისი, 2014 წ.

15 აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, ი. იუთელჰააგი და სხვები, თბილისი 2020 წ.

16 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი; ქურდაძე შ. და სხვები.

17 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14(7).

უპირატესობასა და მისთვის, მატერიალური კუთხით დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რეალურად, რომელი სექტორი არის უპირატეს მდგომარეობაში და რა კუთხით, ამასთან დაკავშირებით ცალსახა მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული და დღემდე აქტიურად გრძელდება არგუმენტების დაპირისპირება.

კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც თავისუფალი პროფესიის ადამიანია და საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო დაბეგვრის საკითხებში კი მიიჩნევა მეწარმედ. ის საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – შეუზღუდავად, ისევე როგორც აღსრულების ეროვნული ბიურო.¹⁸

დღიდან დანერგვისა, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი გამოირჩეოდა საკმაოდ დიდი ეფექტიანობით: სტატისტიკა ცხადყოფდა, რომ მიმართვიანობა ისეთი მსხვილი კრედიტორების მიერ, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, საქართველოში მოქმედი ყველაზე მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები – იყო საკმაოდ მაღალი, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან ეტაპობრივად დაიწყო კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მიმართ მთელი რიგი პრაქტიკული და სამართლებრივი ბარიერების დაწესება. მაგალითად: 2010 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კერძო აღმასრულებლებს აეკრძალათ იმ კატეგორიის საქმეების წარმოებაში მიღება, სადაც მოთხოვნა აღემატებოდა 500 000 ლარს და მრავალი სხვა. აღნიშნული ტიპის შეზღუდვები, ცხადია, არ ვრცელდებოდა საჯარო აღმასრულებლებზე და მათ აბსოლუტურად შეუზღუდავად შეეძლოთ ეწარმოებინათ ნებისმიერი კატეგორიის საქმე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების გაანალიზების შედეგად, ერთი შეხედვით თითქოს იკვეთება, რომ კერძო აღმასრულებელი არის

„ნაკლებად პრივილეგირებული“ საჯაროსთან მიმართებაში, ვინაიდან, მას კანონმდებელი უწესებს სხვადასხვა სამართლებრივ და პრაქტიკულ ბარიერს; უზღუდავს გარკვეული ქმედებების განხორციელების უფლებამოსილებას, თუმცა, ჩნდება კითხვა: რომელი აღმასრულებელი აღმოჩნდება ამით უპირატეს მდგომარეობაში? რამდენად შეიძლება ბარიერად იქნეს მიჩნეული ის „შეზღუდვები“, რასაც კერძო აღმასრულებელს უწესებს კანონმდებელი? პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ კერძო აღმასრულებელს სწორედ იმ კატეგორიის საქმეთა აღსრულების უფლებამოსილება აქვს შეზღუდული, რომელთა წარმოებაც განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება (მაგალითად, ალიმენტისა და გამოსახლების კატეგორიის საქმეები). ხოლო იმ საქმეებს, რომელთა წარმოების უფლებაც კერძო აღმასრულებელს გააჩნია, შეუძლია მეტი სარგებლის მოტანა მატერიალური კუთხით, ვიდრე მაგალითად იმ კატეგორიას, როგორსაც წარმოადგენს პირობითად: ადმინისტრაციული ჯარიმა, ალიმენტის კატეგორიის საქმე და სხვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ საჯარო აღმასრულებლისაგან განსხვავებით, კერძო აღმასრულებელს ზემოთ ჩამოთვლილ საქმეთა კატეგორიებიდანაც კი აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავად გადაწყვიტოს, კონკრეტულ შემთხვევაში, კრედიტორის მიმართვის საფუძველზე, რომელ საქმეს მიიღებს წარმოებაში და რომელს – არა. მაშინ, როდესაც საჯარო აღმასრულებელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, აბსოლუტურად მოკლებულია აღნიშნულ შესაძლებლობას და მასზე ნებისმიერი კატეგორიის საქმის განაწილება ხდება ავტომატური წესით. საჯარო აღმასრულებელს არ აქვს შესაძლებლობა აირჩიოს, რა კატეგორიის საქმეებს მიიღებს წარმოებაში აღსასრულებლად და რაზე იტყვის უარს (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა).

რაც შეეხება საქმეთა რაოდენობას, არც კანონით და არც ბიუროს დებულებით არ არის განსაზღვრული იმ საქმეების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც, შესაძლოა, აღსას-

18 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N88 კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო საქმის წარმოების განხორციელების პირობებისა და ფორმის განსაზღვრის შესახებ.

რულებლად გადაეცეს ერთ აღმასრულებელს. შესაბამისად, პრაქტიკაში ძირითადად არის ისეთი მოცემულობა, როდესაც ერთ საჯარო აღმასრულებელს, რომელიც დასაქმებულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში, წარმოებაში აქვს რამდენიმე ათასი საქმე და საჯარო აღმასრულებელი მოკლებულია შესაძლებლობას მოითხოვოს მასზე განაწილებული საქმეების რაოდენობის შემცირება.

გამომდინარე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან, სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისა და კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ 2013 წელს განხორციელებულ იქნა პროექტი: „აღსრულების კანონმდებლობის განვითარება საქართველოში“ (DEEP-Development of Enforcement Legislation Project in Georgia). აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა, რომელთა აქტიური ჩართულობით შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები და გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები აღნიშნული რეკომენდაციების საკანონმდებლო აქტებში ასახვისა და პრაქტიკაში გატარების მიზნით. აღნიშნული რეკომენდაციების ძირითად არსსა და მიზანს წარმოადგენდა კერძო და საჯარო აღსრულების ინსტიტუტების მაქსიმალური გათანაბრება საკანონმდებლო დონეზე.

როგორც უკვე აღინიშნა, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი დანერგილ იქნა ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით, საბოლოო მიზანს კი წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სისტემის სრულად გადაწყობა კერძო აღმასრულებელთა საქმიანობაზე. ვინაიდან, ზოგადად, აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა პირველ რიგში სახელმწიფოსათვის არის უამრავი სარგებლის მომტანი: იქმნება სტაბილური და ჯანსაღი ბიზნეს გარემო, ხდება კონკურენციის მაქსიმალური სტიმულირება, იზრდება მომსახურების ხარისხი და იკლებს ფასი. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ ქმნის იმგვარ მოცემულობას, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვნად თავისუფლდება ხარჯებისაგან და სახეზეა ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი ყველა პირობა. ყველაფერ ამას საფუძვლად უდევს ის ძირეული პრინციპი, რომლის მიხედვითაც,

სახელმწიფო არ უნდა ახორციელებდეს იმ მომსახურების მიწოდებას, რომლის მიწოდებაც შეუძლია კერძო სექტორს.

5. მოვალეთა რეესტრის ინსტიტუტი, როგორც მოვალეთა ქართულ სააღსრულებო კანონმდებლობაში

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და უახლესი ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, არის მოვალეთა რეესტრი. აღნიშნული ინსტიტუტი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 15 ივლისს აისახა და მოქმედება დაიწყო 2010 წლიდან. ერთერთი მიზეზი ამ ინსტიტუტის დანერგვისა იყო ქვეყანაში არსებული სააღსრულებო სისტემის კიდევ უფრო დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ პერიოდშიდან დღემდე, ინსტიტუტმა განიცადა უამრავი სახეცვლილება, მისი წარმოების წესს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი, ხოლო მოვალეთა რეესტრს აწარმოებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.¹⁹

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, მოვალეთა რეესტრის წარმოების ძირითადი არსი და მიზანი მდგომარეობს აღსრულების ეფექტიანობის გაზრდასა და იმ რისკების თავიდან აცილებაში, რომლებიც აღნიშნულ ურთიერთობებს ახლავს თან, კერძოდ, ეს ინსტიტუტი უქმნის კრედიტორს დამატებით გარანტიებს, რომ მოვალე ვერ აარიდებს თავს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს იძულებითი სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას.²⁰

მნიშვნელოვანია, რომ მოვალეთა რეესტრის მონაცემები არის საჯარო, ანუ ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია რეესტრში რეგისტრირებული

19 „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N234.

20 ბუაძე ქ., 2011, მოვალეთა რეესტრი ქართულ და გერმანულ სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი); სამაგისტრო ნაშრომი.

სუბიექტების შესახებ. განსხვავებით, მაგალითად, გერმანული სააღსრულებო სისტემისაგან, რომელიც არ ასაჯაროებს მოვალეთა რეესტრის მონაცემებს, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს ინფორმაციას, თუ დაინტერესებული პირი მიუთითებს ინფორმაციის მიღების მიზანს შესაბამისი დასაბუთებით, ქართულ სააღსრულებო სისტემაში მსგავსი რამ არ გვხვდება და აბსოლუტურად ნებისმიერი პირისათვის შეუზღუდავად არის შესაძლებელი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირების იდენტიფიცირება და იმის დადგენაც, თუ ვის მიერ განხორციელდა პირის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრის ერთიან ბაზაში. უნდა აღინიშნოს, რომ რეესტრის საჯაროობა არის, ასევე, ერთ-ერთი ხარვეზი და ეს საკითხი კანონმდებლობით სხვაგვარად უნდა იქნას დარეგულირებული.

მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს ეზღუდება კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი – საკუთრების უფლება. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვა მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობისას:²¹

- შეზღუდვა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და „საერთო კეთილდღეობისათვის“;
- შეზღუდვა უნდა განხორციელდეს კანონის საფუძველზე და ამავე კანონით განსაზღვრული წესით.

აუცილებელია დაცული იქნეს პროპორციულობის პრინციპი, აღნიშნული პრინციპი კი მოიცავს შემდეგს:

- კანონმდებლის მიზნის ლეგიტიმურობა;
- მიზნის მიღწევის საშუალების ქმედითობა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მიზნის მიღწევის ნაკლებად მტკივნეული გზა, მაშინ საკუთრების შეზღუდვა არ არის აუცილებელი.²²

21 პაპუაშვილი ს., 2009, საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“.

22 კომანხიძე ც., 2017, საკუთრების უფლების შე-

ზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (მართლმსაჯულება და კანონი #2(54)17.

6. სააღსრულებო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები

6.1. კანონიერების, თანაზომიერების, გამჭვირვალობისა და პროპორციულობის დაცვა სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას

აღსანიშნავია, რომ ქართული სააღსრულებო კანონმდებლობა განსაკუთრებულ აქცენტს არ აკეთებს იმ პრინციპებზე, რომლებიც წითელ ხაზად უნდა გასდევდეს სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობას-აღსრულების დაწყების მომენტიდან. თუმცა, კანონმდებელი მიუთითებს, მაგალითად, მორალის ზოგადი პრინციპებისა და ნორმების დაცვის აუცილებლობაზე იმ შემთხვევაში, თუკი, ვთქვათ, მოვალის მიმართ დაწყებულია იძულებითი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება, თუმცა, ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული გარემოების გამო (მაგ: მოვალის ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა), აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია გადადოს აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება არაუმეტეს 6 თვის ვადით. ამასთან, მართალია, კანონი პირდაპირ მითითებას არ იძლევა აღნიშნულის თაობაზე, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სააღსრულებო წარმოებისას დაცული იქნეს მხარეთა შორის თანაზომიერების პრინციპი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ზედაპირულად არის საუბარი სააღსრულებო წარმოების მხარეთა

ინტერესების თანაბარ დაცვაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლო კი ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ: „კანონმდებელმა მესამე პირს მიანიჭა უფლება მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება მოვალისგან, რომლის ვალდებულების გამოც მოხდა მისი ქონების გასხვისება. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებელი მესამე პირის ქონების გასხვისებას სააღსრულებო წარმოების შედეგების გაუქმებას არ უკავშირებდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადია, ასეთი მოქმედებით ილახებოდა მესამე პირის ინტერესები. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ამგვარი ჩანაწერით კანონმდებელმა გაითვალისწინა აუქციონში გამარჯვებული პირის, როგორც კეთილსინდისიერი შემძენისა და კრედიტორის, როგორც მის სასარგებლოდ არსებული მოთხოვნის იძულებითი აღსრულებით დაინტერესებული პირის ინტერესები და მიიჩნია, რომ მათ ინტერესებს უპირატესობა უნდა მინიჭებოდა მესამე პირის ინტერესებთან შედარებით, რომლის უფლებაც რეალიზებულ ქონებაზე დადგენილი იქნა მხოლოდ ქონების რეალიზაციის შემდგომ. ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ნორმის ამგვარი განმარტება არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მესამე პირთა ინტერესები დაცული არ იყო, თუმცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონმა მესამე პირს საკუთარი ინტერესების დაცვის ისეთი კონკრეტული საშუალება განუსაზღვრა, როგორცაა მოვალისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა მისი ინტერესების დაცვას უკვე ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობისა და გასხვისებული ქონების მესამე პირისთვის დაბრუნების გზით.“²³ მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ხაზგასმულია თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის მნიშვნელობა და მისი გათვალისწინების აუცილებლობა სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

სააღსრულებო წარმოების მიმდინარე-

ობისას თანაზომიერების, როგორც სახელმძღვანელო პრინციპისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, არსებობს განსხვავებული მიდგომები, თუმცა ფაქტად რჩება ისიც, რომ აღნიშნული პრინციპის დაცვას არსებითი და სასიცოცხლო გავლენა გააჩნია სააღსრულებო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე.

